ალია
N92 /3022/ 18 ივნისი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი — ქრონიკა; სამშაბათი — ალია; ოთხშაბათი — ალია; ხუთშაბათი — ალია; პარასკევი — ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA .GE
გამოდის 1995 წლიდან

## ე.წ მოსამართლე ურთმელიძემ „ალიას“ საქმეზე საპროცესო ნორმები დაარღვია და დამნაშავედ ისევ „ალია“ გამოიყვანა

## რატომ გამოუცხადა 70%-მა ბოიკოტი არასაპარლამენტო ოპოზიციასაც



## რა მიზანს ემსახურება ირაკლი ალასანიას ახალი ეროვნული სამხედრო სტრატეგია?



# ეკონომიკის სამინისტრო ოჯახს ბაჩო ახალაიას წართმეულ სახლს არ უბრუნებს

## პეტრე მამრაძე: „ასოცირების ხელშეკრულება არც ისტორიულია, არც შეუქცევადი პროცესის დასაწყისი, სირიასაც კი აქვს ხელი მაგაზე მოწერილი და კარგად ვხედავთ, რაც ხდება სირიაში“



## რუსთავის ავტობაზრობას ილჰამ ალიევის ცოლის ფირმა ყიდულობს

### რაში ხედავენ კრიზისიდან გამოსავალს ავტოდილერები



## მადლობა სამართლიანობისთვის ბრძოლაში ერთგულებისთვის!

შემოწირულობა ანგარიშზე შეიტანეს:

1. შპს სტამბა „ტორის" ხელმძღვანელმა ნუკრი დოლიძემ – 1000 ლარი; 2. ჰომეოპათმა კახა საბახტარიშვილმა – 100 ლარი, 3. ტარიელ თაბაგარი – 3 ლარი, 4. ადვოკატი გურამ გვენცაძე – 100 ლარი, 5. დავით მამუკაშვილი – 1 ლარი, 6. მერაბ ომიაძე – 1 ლარი, 7. „ახალგაზრდა ადვოკატები" – 100 ლარი, 8. „ტოიოტა-ცენტრის" ხელმძღვანელი ირაკლი გურჩიანი – 1500 ლარი, 9. ირაკლი ქავთარაძე – 49 ლარი; 10. ოთარ ჯანდიერი – 10 ლარი; 11. ნათელა მაღლაკელიძე – 50 ლარი; 12. ს/ს „გურმანი" – 50 ლარი; 13. ენრიკო იაკობაშვილი – 1000; 14. ბესიკი ადამია – 5; 15. ანა იმნაიშვილი – 5; 16. ჯიბუტი – 10; 17. დიმიტრი-ელენე-ენვერ ენდელაძე – 3; 18. რიმა გოჩიაშვილი – 50, 19. გელა სულაბერიძე – 2, 20. სერგო მწითურიძე – 100. 21. თამარ მდივნიშვილი – 5. 22. იოსებ ვაშაკიძე – 5, 23. ირინე ტატუნიშვილი – 5, 24. ნუკრი რევიშვილი – 10, 25. ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი – 500, 26. მანანა ვახტანგაძე, რევაზ ფახურიძე – 1, 27. ამხანაგობა საადვოკატო ბიურო მიგრიაული და პარტნიორები – 70, 28. ვასილ მეტრეველი – 10, 29. ლაერტი ზუბადალაშვილი – 100, 30. ჯუმბერ ტაგანაშვილი – 10, 31. შპს „ნილი" – 50; 32. მამუკა კაკუშაძე 20; 33. ჩანჩალაშვილი აბრამი – 300, 34. მედიაჰოლდინგი „ჯორჯიან ტაიმსი" – 100, 35. ნოდარ ბულაძე – 50, 36. ჯემალ ალანია – 3, 37. დავლოსტი გობეჯიშვილი – 30; 38. ზუბერ ავალიანი – 10; 39. გიზო ფაცია – 1000; 40. ზურაბ გუნია – 100; 41. 42. თამრიკო ფაცია – 100; 43. თეა იაკობიძე – 100; 44. მერაბ სარია – 300; 45. მარინე კანდელაკი – 5; 46. შორენა გოშუა – 5; 47. ხელვაჩაური პურპროდუქტები – 150; 48. ცისანა ქირია – 10; 49. ტარიელ ოთიაშვილი – 10; 50. ელისო შიხიაშვილი – 50; 51. ლევან ბანეთიშვილი – 300; 52. ელეონორა ბექაური –10; 53. დავით ჭაქვაძე – 190; 54. ციალა თოფურია – 100; 55. მარიკა ჯაჯანაშვილი – 2.

სპეციალური ანგარიში „თიბისი ბანკში" GE30TB7568636020100001

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კახა კუკავა შესაძლოა, პოლიტიკიდან წავიდეს



„თავისუფალი საქართველოს" ლიდერის კახა კუკავას, განცხადებით, იგი შესაძლოა, პოლიტიკიდან წავიდეს.

„ჩვენი ხმები მოიპარეს. იყო ბიძინა ივანიშვილის დავალება, რომ არ გადაგველახა ბარიერი, მაგრამ ვაცნობიერებთ იმასაც, რომ ჩვენმა ამომრჩეველმა გამოგვიცხადა უნდობლობა. ყველა შემთხვევაში შედეგი იქნებოდა დაბალი. არასდროს არაფერს გამოვკიდებივარ. ჩვენ მივიღეთ ამომრჩევლის მკაფიო გზავნილი, რომ ჩვენი სამსახური საქართველოს მოსახლეობას არ სჭირდება. უახლოეს მომავალში შეიკრიბება პარტიის ხელმძღვანელობა და მიიღებს გადაწყვეტილებას, რა და როგორ გაკეთდეს", – განაცხადა კუკავამ.

„მე, ბუნებრივია, ლოგიკურად პოლიტიკიდან წასვლაზე უნდა ვიფიქრო, თუმცა არ მინდა, დაბალი შედეგის შემდეგ პირდაპირ გავაკეთო ეს განცხადება. მე პოლიტიკაში მოვედი 10 წლის წინათ ჩემი პრინციპებით. შემეძლო სხვადასხვა მთავრობების დროს მაღალი თანამდებობები დამეკავებინა და ამაზე უარი განვაცხადე. ფსონი დავდე იმაზე, რომ ყოველთვის, როცა რუსთაველზე გამოდიოდა თბილისი, მის გვერდზე ვმდგარიყავი. არ ამცილებია არც ერთი „დუბინკა", მხუთავი აირი და წყლის ჭავლი. ჩვენმა საზოგადოებამ, თბილისმა ეს შეაფასა 2%-იანი მხარდაჭერით და სულელი უნდა ვიყო, რომ ამის შემდეგ კიდევ ვიფიქრო იმაზე, რომ არაფერი შესაცვლელი არ არის", – დასძინა კუკავამ. (ნიუპოსტი)

## გოგონები უფასოდ – „კაზანტიპი" ანაკლიაში



20-დან 30 აგვისტოს ჩათვლით ელექტრონული მუსიკის ფესტივალი „რესპუბლიკა კაზანტიპი" ანაკლიაში გაიმართება. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება ფესტივალის ორგანიზატორმა ნიკიტა მარშუნოკმა გააკეთა. ათდღიანი ფესტივალის ბილეთის ღირებულება 200-250 დოლარი იქნება. ამასთანავე, უკრაინელი და ქართველი გოგონები ფესტივალზე უფასოდ მოხვდებიან. (პირველი რადიო)

## ნარმანიამ მელიას 60 038 ხმით მოუგო



თბილისში საარჩევნო უბნების 100% დათვლილია, რომლის მიხედვითაც კოალიცია „ქართული ოცნების" კანდიდატმა დავით ნარმანიამ არჩევნების პირველ ტურში გამარჯვება ვერ მოიპოვა და მან არჩევნებზე მოსული ამომრჩევლის ხმების 46,13% მიიღო, რაც საბოლოო ჯამში 152 004 ხმაა. მეორე ტურში მისი კონკურენტი „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი ნიკა მელია იქნება, რომელმაც ხმების 27,91% მიიღო, რაც 91 966 ხმაა. მესამე ადგილზე გასულმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ ხმების 12,82%, ანუ 42 245 ხმა მიიღო. მეოთხე ადგილზე გასულმა ირმა ინაშვილმა კი – 17 673 ხმა, ანუ ხმების 5,36%. ამ მონაცემების მიხედვით, დავით ნარმანიამ ნიკა მელიას 60 038 ხმით მოუგო. (პირველი რადიო)

## კობახიძის ძმა საკრებულოში – გახდება თუ არა ტყემალაძის ვაჟი თავმჯდომარე



„ქართულმა ოცნებამ" თბილისის 25 მაჟორიტარული ოლქიდან გამარჯვება 24-ში მოიპოვა, პროპორციული სიით კი „ოცნებამ" თბილისის წარმომადგენლობით ორგანოში, წინასწარი ინფორმაციით, 13 მანდატი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური შედეგები ჯერ გამოცხადებული არ არის, პოლიტიკურ კულუარებში უკვე კეთდება პროგნოზები იმის შესახებ, ვინ შეიძლება გახდეს საკრებულოს მომავალი თავმჯდომარე. ერთ-ერთი ინფორმაციით, საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი შესაძლოა, წინა მოწვევის საკრებულოში თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ტყემალაძემ დაიკავოს, რომელიც „მრეწველთა" ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ ტყემალაძის ვაჟია. როგორც „ოცნების" კულუარებში ამბობენ, ტყემალაძეს საკრებულოში მოხვედრილ „ოცნების" წევრთა შორის ამ სფეროში ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს. ამ ინფორმაციას ოფიციალურად ჯერჯერობით არავინ ადასტურებს. თბილისის საკრებულოში „რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარე ხათუნა სამნიძეც მოხვდა, მასთან და „ოცნების" სხვა წევრებთან ერთად საკრებულოს მანდატი მიიღო ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძის ძმამ თევდორე კობახიძემ (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 258 ამომრჩევლიდან „ქართულ ოცნებას" ხმა 997-მა მოქალაქემ მისცა



„ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის" პრესსამსახურის უფროსი ბაკურ ბაკურაძე სოციალურ ქსელში გარდაბნის ერთ-ერთი უბნის შედეგების ოქმს აქვეყნებს. ოქმზე დაფიქსირებულია ამომრჩეველთა მთლიანი რაოდენობა – 258, ხოლო „ქართულმა ოცნებამ", ამ ოქმის მიხედვით, 997 ხმა აიღო.

„ახლა ვდებ ერთ-ერთ შემაჯამებელ ოქმს. „ოცნებაა":)))258 ამომრჩევლიდან 900-ზე მეტმა როგორ მოგცათ ხმა? :))) – წერს ბაკურ ბაკურაძე. (პირველი რადიო)

## ადეიშვილის მამამ არჩევნები მოიგო



იუსტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადეიშვილის მამა ყვარლის საკრებულოს წევრი გახდა. შალვა ადეიშვილმა მაჟორიტარული არჩევნები სოფელ მთისძირში მოიგო. (პირველი რადიო)

## „დაახლოებით ერთ თვეში, საქართველოში გააქტიურდებიან ისლამისტები"



სამხედრო ექსპერტის, ვახტანგ მაისაიას განცხადებით, ერთ თვეში, საქართველოში, აქაური ისლამისტების გააქტიურებაა მოსალოდნელი.

„საუბარია, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც თავის დროზე პირველი არაბული ხალიფატი შეიქმნა, უნდა აღდგეს ანალოგიური ტიპის ისლამური თეოკრატიული სახელმწიფო, რომელიც შარიათულ სამართალზე აღმოცენდება. ეს იქნება საყრდენი ძალა, რომლიდანაც მოხდება ამ დოქტრინის გაგრძელება სხვა მიმართულებით, ეს იქნება ცენტრალური აზია, პაკისტანი და ავღანეთი. რაც მთავარია, გაგრძელდება კავკასიის მიმართულებით. ვაჰაბიტსური დაჯგუფება უკვე აზერბაიჯანშიც გააქტიურდა. იგივე ძალა ქვემო ქართლშიც საკმაოდ მომძლავრდა. შესაბამისად, პანკისშიც იქმნება ახალი საშიშროება ამ მიმართულებით. ვაჰაბისტები, აფხაზეთშიც ბრუნდებიან. სამი ძირითადი ანკლავი მარტო საქართველოშია. ძალიან მალე საქართველოში მოსალოდნელია აქაური ისლამისტების გააქტიურება. ერთ თვეში გააქტიურდებიან. ჯერ ჩრდილოეთ კავკასიაში განახორციელებენ საკმაოდ მსხვილ დარტყმას, შემდეგ კი არ გამოვრიცხავ ამ ყველაფრის გადმონთხევა საქართველოშიც მოხდეს.

მგონია, რომ ასეთი პროგნოზის განვითარების ფონზე, ჩვენ მზად არ ვართ. იმედია, არ გამართლდება ეს პროგნოზი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, 2013 წლის ნოემბერში ჩემი და ბატონი მამუკა არეშიძის პროგნოზი როგორ ახდა, არაფერი არ არის გამორიცხული", – განაცხადა მაისაიამ. (რეპორტიორი)

## მიმინოშვილმა 2013 წელს 37 350 ლარი პრემია მიიღო



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ინფორმაციით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა 2013 წელს პრემიის სახით, საერთო ჯამში, 37 350 ლარი მიიღო, ხოლო სახელფასო დანამატის სახით – 14 280 ლარი. მიმინოშვილის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 4500 ლარს შეადგენს. 2013 წელს თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების საერთო რაოდენობამ 2 151 687 ლარი შეადგინა. (ნიუპოსტი)

## რეკლამის კანონში ცვლილებები ერთი კვირით გადაიდო



ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ცვლილებები საერთაშორისო ცნობადი ბრენდების სახელების თარგმნის ვალდებულების შეცვლას ითვალისწინებს.

„ინიციატივით მომხმარებელს პროდუქტების, ქართულ ენაზე სავალდებულოდ ნათარგმნი მხოლოდ რეკლამა უნდა მიეწოდოს. კონკრეტულად საბრენდო დასახელებაზე იყო საუბარი, რომ არ ითარგმნოს, თუმცა აქაც არის დასაზუსტებელი საკითხები და აღნიშნული ცვლილების მიღება ერთი კვირით გადავდეთ", – აღნიშნა კვირიკაშვილმა. (რეპორტიორი)

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის 70% ელოდება ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენას. რას ითხოვს ხალხი და ვინ შეიძლება იყოს ეს ძალა? ერთია, რომ ხელისუფლე-გამობმული და პოლიტიკა საკუთარი ჯიბის ბიზნესად აქციეს.

მოკლედ, ხალხს დაუდგა ის დრო, როცა უნდა იკითხოს, – აი, თქვენ რომ ხმას მოგცემთ, მერე ჩვენ რა? დამნაშავე რეჟიმის გასამართლება და ქვეყნის პატრიოტული მოტივე-ბიდან მართვა. აღმოჩნდა, რომ ხალხს მობეზრდა პოლიტიკოსების დასავლეთისა და რუსეთის რა არის მათი შეცდომა?

**სოსო მანჯავიძე, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" პოლიტიკური მდივანი:**

სწორი.

რაც შეეხება იმ ელექტორატის მოზიდვას, რომელიც არჩევნებზე არ მოვიდა, ელემენტარულად იმ ადამი-ანებმა არ იცოდნენ ჩვენი არსებობის

# რატომ გამოუცხადა 70%-მა ბოიკოტი არასაპარლამენტო ოპოზიციასაც

ბამ ვერ შეძლო მოსახლეობის 70%-ის გულების მონადირება, ბევრი მიზეზის გამო, თუმცა მეორე და მთავარი – ეს ხმები არც პარლა-მენტს მიღმა დარჩენილ ოპოზიცია-სთან მისულა, ეს მაშინ, როდესაც ქვეყანას ჯერ კიდევ არ მოუშუშებია სააკაშვილის რეჟიმისგან მიყენებუ-ლი ტკივილები. ეს ის პროცენტია, რომელისთვისაც კატეგორიულად მიუღებელია „ნაციონალური რეჟი-მის" რეანიმირება და რომელმაც თავგანწირვის ფასად 2012 წელს ხმა მისცა კოალიცია „ქართულ ოც-ნებას", ეს ის პროცენტია, რომელსაც შეუძლია, პროცესები თავდაყირა დააყენოს და შეცვალოს პოლი-ტიკური რეალობა.



ამ არჩევნებმა საინტერესო ფაქტები გამოკვეთა, პირველი – ად-ამიანები პარტიული კუთვნილების მიხედვით აღარ ირჩევენ კანდი-დატებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამომრჩეველი ვადაგასულ პარტიებს „მოხმარებიდან" იღებენ. მეორე – ამომრჩეველი ეძებს დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტს, რომელიც არ იქნება ასოცირებული იმ გახრწნილ პოლიტიკურ ლიდერებთან ალიანსში, რომლებიც აგერ უკვე 20 წელია, თავს არ გვანებებენ, მეძავი ქალებივ-ით ფულზე იყიდებიან, ერთ წრეზე ტრიალებენ, ძაღლის ყბები აქვთ ხალხმა გადაწყვიტა, ეძებოს ახალი პოლიტიკური ძალა, ამიტომაც გამ-ოიკვეთა საინტერესო ტენდენცია, ადგილობრივ არჩევნებში კვალიფი-ციური სუბიექტი გახდა, ერთი წლის წინათ შექმნილი პარტია „საქართვე-ლოს პატრიოტთა ალიანსი", ციხის სკანდალური კადრების ავტორები, რომლებმაც სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებაში გარდამტეხი როლი შეასრულეს. მათი დამსახურებაა, რომ კოალიცია „ქართულმა ოც-ნებამ" საპარლამენტო უმრავლესო-ბა მოიპოვა, მეგა კომპრომატის ტალღაზე მოსული კოალიცია, ხე-ლისუფლების სამართავად მზად არ აღმოჩნდა, რადგან მათ გამარჯვება ხელში სწორედ ამ კომპრომატით ჩაუვარდათ, მათ კი ვერ მოახერხეს თვალებით ყურება, ისინი რაღაც ახ-ალს, ქართულსა და პატრიოტულს ეძებენ. პოლიტიკაში წმინდა ადგილი არ არსებობს, მას ყოველთვის ვაღაც იკავებს, ადგილობრივი თვითმ-მართველობის არჩევნებმა სწორედ ეს ფაქტი გამოკვეთა. და მაინც, გრძნობს თუ არა არასაპარლამენტო ოპოზიცია საკუთარ დანაშაულს, რომ ვერ შეძლო 70%-ის თავისკენ მობილიზება, რომელმაც ვერ მოახ-ერხა და ვერ შესთავაზა „ოცნებისა" და „ნაცების" ალტერნატიულ ძალად საკუთარი თავი?

ვიდრე ხელისუფლების კრიტიკას დაიწყებენ, იქნებ დაფიქრდნენ, რომ მათ „ოცნებამ" უნიკალური შანსი მისცა, ამომრჩეველთა 70% თავისკენ გადაექაჩა, თუკი ოპოზიცია ბრალს სდებს „ნაცებთან" კოჰაბიტაციაში და მათ რეაბილიტაციაში, სანაცვ-ლოდ რას აკეთებენ ისინი, რომ მათ ამ ბრძოლაში მოსახლეობის 70% გვერდით დაუდგეს?

მაშ ასე, „ალიამ" არასაპარლამენ-ტო ოპოზიციის ყველა კვალიფიცი-ური სუბიექტი გამოკითხა, რომელ-მაც საარჩევნო ბარიერი გადალახა. მათ ერთი უმთავრესი კითხვა დავუს-ვით, რატომ ვერ შეძლეს ამომ-რჩეველთა 70%-ის სათავისოდ გამოყენება, არჩევნებზე მიყვანა და

– ადამიანებს საერთოდ დაკარგუ-ლი აქვთ ცვლილებების იმედი, ვი-ნაიდან ძალიან მძიმე დეპრესია გამ-ოიწვია 1-ლი ოქტომბრის შემდეგ გატარებულმა კოჰაბიტაციის პოლი-ტიკამ, უარის თქმამ სამართლიანო-ბის აღსრულებაზე, სისტემური რე-ფორმების გატარებაზე, დამნაშავეე-ბის დასჯაზე. ეს იწვევს უმძიმეს აპ-ათიას მოსახლეობაში, რაც შესაბამ-ისად, არჩევნების მიმართ ტოტალურ უნდობლობას იწვევს. სახეზეა ნდობის კრიზისი.

**— თქვენ ამ არჩევნებში გახდით კვალიფიციური საარჩევნო სუბიექ-ტი და გილოცავთ, მაგრამ, თუკი არასაპარლამენტო ოპოზიციის ამოცანაა, რომ „ნაციონალური მოძრაობა" გაიყვანოს პოლიტიკური ველიდან, რატომ ვერ შეძელით გაერთიანება და ეს მისია რატომ არ იკისრეთ.**

– „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" ახალი პოლიტიკური სუბიექტია, ერთი წელია, რაც პარტიად ჩამოვყალიბდით. რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანებას, ბევრი პოლიტიკური პარტიის ისტორია შეუძლებელს ხდის ჩვენსა და მათ გაერთიანებას. ეს მოგვცემდა უკუ-ჩვენებას, აქედან გამომდინარე, ჩვე-ნი მოქმედება იყო აბსოლუტურად შესახებ, ან საიდან უნდა სცოდნო-დათ, როდესაც 80%-ს იკავებს ის ტელევიზიები, სადაც აკრძალულები ვიყავით. ძალიან ბევრმა ადამიანმა, განსაკუთრებით რეგიონში, ჩვენი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა. ჩვენ ხმა მოგვცა იმ ხალხმა, ვინც გვიცნობდა.

**გიგლა ბარამიძე, „ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის" პოლიტიკური მდივანი:**



– ამომრჩევლის 70%-ის მხრიდან იყო პროტესტი, უპირველესად ხე-ლისუფლების მიმართ. რა თქმა

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნინო ბურჯანაძე პრემიერს რჩევებს აძლევს



„ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის" ლიდერი ნინო ბურჯანაძე პრემიერს რჩევებს აძლევს.

„როგორც ჩანს, რაღაც ვირუსია სახელისუფლე-ბო კულუარებში და ჩვენი გამარჯვების შემდეგ, დეზ-ინფექცია უნდა ჩავატაროთ ხელისუფლების შენობებ-ში. ხელისუფლება თვითკმაყოფილებას ეძლევა, როდესაც ცდილობს დამარცხების გამარჯვებად ჩვენებას. კარგი იქნება, თუ ბატონი ღარიბაშვილი არ აზეიმებს ამ გუნდს და ბატონ ღარიბაშვილს ვატყობ სახეზე, რომ ძალიან ბედნიერი არ არის. მოვუწოდებ, რომ სერიოზული დასკვნები გააკეთოს. გადახედოს თავისი გუნდის ქცევებს, საქმიანობას და ადეკვა-ტური შეფასება გააკეთოს ქვეყანაში არსებული რეალობის. როდესაც ვთქვი, რომ „ქართული ოცნების" ნაციონალურმა ფრთა გაიმარჯვა-მეთქი, ეს შეგნებულად ვთქვი.

„ქართულ ოცნებაში" არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც ამბობდნენ, რომ მათი მიზანია „ნაციონალური მოძრაობის" გამარჯვება. ვგულისხმობ „რესპუბლიკელებს". მათ უნდოდათ, რომ მეორე ტურში ყოფილიყო „ნაციონალური მოძრაობა" და ბურჯანაძეს არ დაეფიქსირებინა 10%-ზე მეტი. დარწმუნებული ვარ, ბატონი ღარიბაშვილი გულწრფელი იყო, როდესაც ამბობდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა" უნდა გაქრეს რადარებიდან. ასეთ შემთხვევაში თავისი სამართლიანი სურვილები თავის თანაგუნდელებს შესაბამისობაში უნდა მოაყვანინოს", – განაცხადა ბურჯან-აძემ. (ნიუპოსტი)

## „მთავრობა ჩატარებული არჩევნებით ტკბობასა და თრობაშია"

„ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი წუხს, რომ ვიცე-პრე-მიერი, პრემიერ-მინისტრი და ზოგადად მთავრო-ბა, ჩატარებული არჩევნებით ტკბობასა და თრობა-ში არიან.



„ადგილობრივ არჩევნებში ჩვენი მოსახლეობის გზავნილი იყო პასიურობა, რადგან უკმაყოფილო არიან მთავრობის პოლიტიკით. მეორე გზავნილი იყო, რომ ჩვენი თანამოქალაქეები ძალიან წუხან გაზრდილ უმუშევრობაზე, ეკონომიკის გაჩერება-ზე და კრიმინალის ზრდაზე. იმის მაგივრად, რომ მთავრობამ ამ საქმეებს მიხედოს, ზეიმებს აწყ-ობენ..." (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## რა თანხა დაუჯდება ქვეყანას მეორე ტური

ცესკო-ს შესყიდვებისა და დაგეგმვის დეპარტამენ-ტის უფროსის, ოთარ ბუსკილაძის განცხადებით, თვით-მმართველობის არჩევნების მეორე ტურისთვის დაახ-ლოებით 5 მილიონი იქნება საჭირო.

„შესაძლოა, აღნიშნული ხარჯების სრულად დასაფი-ნანსებლად გამოიძებნოს გარკვეული ნაშთები ამ წუთას, საარჩევნო ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ბიუ-ჯეტიდან. ხოლო დამატებითი თანხა მოთხოვნილ იქნას ფინანსთა სამინისტროდან", – განაცხადა ბუსკილაძემ.

15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნებისთვის 34 600 000 ლარი დაიხარჯა. (ნიუპოსტი)

## ბარისახოში 84 წლის მოხუცს ეძებენ




დაკარგულ მოხუცს დუშეთის სამაშველო სამ-სახური და პოლიციის წარმომადგენლები ეძებენ. მამუკა არაბული ადგილობრივი მკვიდრია და ის ბარისახოდან მეზობელ სოფელ გველეთში 16 ივნისს დილით წავიდა და უკან დღის ბოლომდე უნდა დაბრუნებულიყო, თუმცა მისი ადგილსამყ-ოფელი ამ დრომდე უცნობია. (ნიუპოსტი)

## „სენაკში არჩევნები „სომხური კარუსელის" გამოყენებით გაყალბდა"



„ნაციონალური მოძრაობის" წევრის ჩიორა თაქთაქიშვილის განცხადებით, „უკვე დადასტურებულად შეიძლება, ითქვას, რომ სენაკში არჩევნების შედეგები გაყალბდა! 136 ბიულეტენია გამ-ქრალი 20 საარჩევნო უბნიდან. ამ ბიულეტენებით ე.წ. სომხური კარუსელის გამოყენებით და სუს-ის, საარჩევნო ადმინისტრაცი-ის მონაწილეობით, ამომრჩევლებს არ მისცეს უფლება, არჩევანი თვითონ გაეკეთებინათ. 1 ბიულეტენით, ყველაზე მცირე, 30-40 ამომრჩევლის ნების გაყალბებაა შესაძლებელი", – წერს თაქთა-ქიშვილი. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

უნდა, ასევე დასაფიქრებელია ოპოზიციისთვისაც, რომ უფრო მეტი სერიოზული მუშაობაა საჭირო. რაც შეეხება ოპოზიციის გაერთიანებას, ჯერ კიდევ 8 თვის წინ მოვუწოდებდით ოპოზიციას გაერთიანებისკენ, რათა ეს ვაკუუმი არ შექმნილიყო და საპროტესტო ელექტორატი ჩვენკენ წამოსულიყო. სამწუხაროდ, როგორც ხშირად ხდება, გაერთიანება არ მოხდა, როგორც ყოველთვის, ოპოზიციას შორის იყო დაქსაქსულობა, თუმცა ბურჯანაძის მხრიდან გაკეთდა ყველაფერი და ოპოზიციის რაღაც ნაწილი ჩვენთან წამოვიდა. უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს, რატომ გამოუცხადა პროტესტი ამომრჩევ-



ლის 70%-მა, თუმცა ეს ჩვენთვისაც გასათვალისწინებელია. როგორც ჩანს, კიდევ რაღაცაა გასაკეთებელი იმისთვის, რომ მოსახლეობა დავაინტერესოთ. რეგიონებში ბევრი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი და უფრო მეტად უნდა დავაინტერესოთ ჩვენი ამომრჩეველი. იმ ფონზე, როცა კლებულობს „ქართული ოცნების" პროცენტები, ჩვენი გაიზარდოს, ესეც გვაქვს დაგეგმილი და ამ გზითაც წავალთ.

**მანანა ნაჭყებია, „კახა კუკავა — არასაპარლამენტო ოპოზიცია":**

– სამწუხაროა, ჩვენ ყველას ხმა ვერ მივაწვდინეთ, ვერ მოვახერხეთ, რომ ამომრჩევლისთვის შეგვექმნა მოტივაცია, მოსულიყვნენ საარჩევნო უბნებზე. ეს დამოკიდებულია როგორც ობიექტურ, ასევე სუბიექტურ ფაქტორებზე. სუბიექტური ფაქტორი იყო ის, რომ ჩვენ არ გვაქვს ამის ფინანსური რესურსი. „ნაციონალებზე" და „ქართული ოცნებაზე" მუშაობენ კოორდინატორები, ადგენენ სიებს, აქვთ საკმაოდ მაღალი ანაზღაურება. არ გვქონდა რეკლამის გაკეთების საშუალება, ჩვენი ერთადერთი შესაძლებლობა, რითაც გავაგებინეთ ხალხს, რომ ვმონაწილეობდით არჩევნებში და უნდა მოსულიყვნენ არჩევნებზე, ეს იყო დებატებში მონაწილეობა და მწირი რაოდენობით პლაკატების გაკვრა.

**— ნინო ბურჯანაძემ სწორედ იმ მიზნით შემოიერთა „ქრისტიან-დემოკრატები", რომ მათ ჰქონდათ დაფინანსება და უფასო სარეკლამო დრო, რასაც მოჰყვა კუკავას დაუნდობელი კრიტიკა. არასაპარლამენტო ოპოზიციას ამბიციები რომ დაეთმო, შეძლებდით ამ გზით მეორე ადგილის მოპოვებას და „ნაციონალური მოძრაობის" ჩაძირვას?**

– პარლამენტსგარეთ დარჩენილ ოპოზიციას ჰქონდა ძალიან სერიოზული შანსი, რომ „ნაციონალური მოძრაობა" მე-3 ადგილზე „გადაეგდო", მაგრამ ჩვენი მიზეზით არ მომხდარა ის, რაც მოხდა, ყველაფერი გავაკეთეთ, რომ შემდგარიყო არასაპარლამენტო ოპოზიციაში საარჩევნო ბლოკი. სამწუხაროდ, ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ შემოგვთავაზა, რომ ყველა პარტიას მიგველო მონაწილეობა ერთი პარტიის ქოლგის ქვეშ. სამწუხაროდ, ეს ჩვენთვის მიუღებელია, რადგან პარტიული ლიდერების გარდა, პარტიის შემადგენლობაში არიან უამრავი ადამიანები, ვისი აზრიც გასათვალისწინებელია. სხვა საქმეა საარჩევნო ბლოკი, ვისთანაც გამოგვივიდა, იმასთანაც შევქმენით. თუმცა გეთანხმებით, ბევრად ეფექტური იქნებოდა, ამ არჩევნებზე ყველა ერთად ვყოფილიყავით, რაც, სამწუხაროდ, სხვა პოლიტიკურმა ძალებმა არ ისურვეს.

**გიორგი გუგავა, „ლეიბორისტული პარტია":**

**— მოსახლეობის 70%-მა არჩევნებს და არასაპარლამენტო ოპოზიციას ზურგი აქცია, არ ფიქრობთ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციამ ვერ შეძლო „ნაცმოძრაობისა" და „ოცნების" ალტერნატიულ ძალად ჩამოყალიბება?**

– ჯერ ერთი, „ლეიბორისტულმა პარტიამ" გაცილებით მეტი ხმა აიღო, ვიდრე დაგვიფიქსირეს. თბილისში ავიღეთ 30 ათასზე მეტი ხმა, ხოლო დაგვიფიქსირეს 15 ათასი ხმა. ბოლომდე ვერ ჩაგვძირეს, რადგან ჩვენ გვყავს მყარი ელექტორატი და კვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტის სტატუსი მაინც მივიღეთ.

**— ამომრჩევლის 70%-ის ხმები ჰაერშია, არასაპარლამენტო ოპოზიციის გამკვირვებია, თქვენ რატომ ვერ შეძელით ამ ხმების მობილიზება და თქვენს სასარგებლოდ გამოყენება? საკუთარ თავში დანაშაულს ვერ ხედავთ?**

– ერთადერთი ოპოზიციური პარტია არის „ლეიბორისტული პარტია", ჩვენ ასევე პატივისცემით ვართ განწყობილი კახა კუკავასა და „ახალი მემარჯვენეების" მიმართ, დანარჩენები არიან ივანიშვილის მიერ ხელოვნურად შექმნილი ოპოზიციური ძალა და გამოყვანილი პოლიტიკურ ასპარეზზე.

**— მაინტერესებს, თუ ნამდვილი ოპოზიცია ხართ, ამომრჩეველთა 70% თქვენთან რატომ არ მოვიდა? ფიქრობთ თუ არა, რომ დროა, საკუთარ შეცდომებზეც იფიქროთ, ვიდრე ხელს სხვა პარტიისკენ გაიშვერთ? საკუთარ პარტიაზე შეყვარებულის პოზიციიდან ნუ მიპასუხებთ...**

– მე საკუთარ პარტიაზე შეყვარებულის პოზიციიდან კი არ გელაპარაკებით, ობიექტურ რეალობას ვამბობ. რაც შეეხება იმ 70%-ს, რომელიც არჩევნებზე არ მოვიდა, ესენი იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც თავი გასწირეს, ხმა მისცეს და გაამარჯვებინეს „ქართულ ოცნებას", რომელმაც ამ ხალხს დაუმსხვრია ეს ოცნებები და გაყიდა თხასავით. ბუნებრივია, ამან გამოიწვია ხალხის



ნიჰილიზმი და აპათია. ეს არის ლოგიკური, მაგრამ ხვალ, მათი ეს განწყობა გადაიზრდება წინააღმდეგობაში და შეიქმნება საზოგადოებაში რევოლუციური მუხტი.

**— საკუთარ თავში დანაშაულს ვერ ხედავთ? ვერ ატყობთ, რომ კარგად ვერ იმუშავეთ, თორემ სხვა შემთხვევაში, გაცილებით მაღალ პროცენტს დადებდით.**

– გეთანხმებით, ვიღებ ამ პრეტენზიას და ამ საყვედურს, მაგრამ როცა შეკვეცილი გაქვს ფრთები, როცა წართმეული გაქვს ყველა ბერკეტი, ძალიან ძნელია, წინასაარჩევნო კამპანია სათანადოდ აწარმოო. ჩვენ არ გვქონდა ფინანსური რესურსი და თუ არ გექნება ფული, არჩევნებს წააგებ.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ალიასთან" საუბარში აცხადებს: „სიმართლე გითხრათ, მეც მაინტერესებს ამ კითხვაზე პასუხი. არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის ძნელია, მოიძებნოს ისეთი ხელსაყრელი მომენტი, ვიდრე ახლა იყო შექმნილი. ფაქტი ერთია, რომ მათ გაუძნელდათ გაერთიანება. მაგრამ ეს არჩევნები კიდევ ერთ მომენტზე მიგვანიშნებს, არასაპარლამენტო ოპოზიციაში გაჩნდა ახალი ელემენტი და უკვე რეიტინგიც მოიპოვა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა", ამ ფაქტიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ხალხი ოპოზიციის გაერთიანებას კი აღარ ელოდება, არამედ ის ითხოვს ახალი ძალის გამოჩენას. არასაპარლამენტო ოპოზიციური ძალები, ძველი სახეები არიან, ისინი ახალი სიტყვით არ შემოსულან ამ არჩევნებზე. უფრო კარგად რომ ავხსნა, რას ვგულისხმობ, მაგალითად ვიტყვი, ნაცნობი სახეები იყვნენ თავის დროზე სააკაშვილი და ჟვანია, მაგრამ, როგორც კი განაახლეს თავიანთი რიტორიკა და გახდნენ ოპოზიციურები, მათ მიიზიდეს საზოგადოების ყურადღება. ამ შემთხვევაშიც იყო დეფიციტი პოლიტიკური რიტორიკის სიახლის. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მესამე პოლიტიკურმა მხარემ ნაკლები ხმები მიიზიდა. არამარტო ხელისუფლება, მთლიანი პოლიტიკური სპექტრი უნდა დაფიქრდეს, რატომ დაკარგეს მათ ამომრჩეველთა 70%. დღეს, როგორც არჩევნებმა აჩვენა, საზოგადოებას აქვს გაცილებით მეტი მოთხოვნილება, ვიდრე ის, რომ ოპოზიცია გაერთიანებულიყო და ამომრჩევლებისთვის საკუთარი თავი შეეთავაზებინა. ამომრჩეველი ახალ პოლიტიკურ ძალას ელოდება".

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ნიკა მელიას ცესკო-მ ხმები დააკლო"



„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის" თბილისის მერობის კანდიდატ ნიკა მელიას ცესკომ ხმები დააკლო.

მათ შორის, „სამ უბანზე 100-100 ხმის დაკლების შემთხვევები: სამგორის №12 უბანი: ოქმის მიხედვით 111 ხმა აქვს მიღებული, მაგრამ ვებგვერდზე დაფიქსირებულია 11 ხმა; სამგორის №20 უბანი: ვებგვერდის მიხედვით, კანდიდატს 18 ხმა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ შემაჯამებელ ოქმზე თანდართული შესწორების თანახმად, მას 118 ხმა უნდა ჰქონდეს; საბურთალოს №78 უბანი: სავარაუდოდ, ნიკა მელიამ 131 ხმა მიიღო ამ უბანზე, თუმცა ოქმში რიცხვის პირველი ციფრი გადახაზულია და ცესკოს ვებგვერდზეც 31 ხმა არის დაფიქსირებული. აღსანიშნავია, რომ სუბიექტების მიღებული ხმებისა და არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის დასაბალანსებლად სწორედ ეს 100 ხმა არის საჭირო", – აღნიშნულია ორგანიზაციის განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## დარჩიაშვილი ზურაბ აბაშიძეს კანონში ჩახედვას ურჩევს



საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით დარჩიაშვილი დეპუტატ ზურაბ აბაშიძეს კანონში ჩახედვას ურჩევს.

„არ ვიცი, ზურაბ აბაშიძემ რა განაცხადა, მაგრამ აქცია იქნება, დემონსტრაცია თუ ბრიფინგი, ამ ყველაფერს კანონი არეგულირებს და კანონზე მაღლა არც მეტი, არც ნაკლები, არავინ უნდა იდგეს. თუ მან ასე განაცხადა, მაშინ კანონში ჩაიხედოს", – განაცხადა დარჩიაშვილმა.

ცნობისთვის: ზურაბ აბაშიძე „ნაციონალური მოძრაობის" მიერ გავრცელებულ გეგმას გამოეხმაურა და განაცხადა: „თუ ვინმეს რაიმე პრეტენზია აქვს, არჩევნებზე უნდა დააფიქსიროს. „ნაციონალური მოძრაობის" მოწოდებით, ხალხის გამოსვლა წარმოუდგენლად მიმაჩნია და პირდაპირ ვაცხადებ, რომ მთავრობა აქციებსა და არეულობას არ დაუშვებს. ბოროტი აზრები ყველამ თავისთვის დაიტოვოს". (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დაზვერვამ მივლინებებში 43 507.61 ლარი დახარჯა




ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ინფორმაციით, 2013 წელს დაზვერვის სამსახურის თანამდებობის პირების მივლინებებისთვის გაწეულმა ხარჯმა 43 507.61 ლარი შეადგინა, ხოლო უცხოური დელეგაციების მიღებასა და მათთვის ჩატარებულ ღონისძიებებზე 114 620.98 ლარი დაიხარჯა.

„საქართველოს დაზვერვის სამსახურმა ინსტიტუტის ყველა მოთხოვნა სრულყოფილად დააკმაყოფილა. სხვა ძალოვანი უწყებებისგან განსხვავებით (მაგ., შინაგან საქმეთა სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებები, პროკურატურა და სხვა) წლების განმავლობაში ინარჩუნებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალ მაჩვენებელს. მათ მიერ დეტალურად იქნა გასაჯაროებული იმგვარი ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას არ შეიცავს. მაგალითად 2013 წელს საქართველოს დაზვერვის სამსახურის თანამდებობის პირების მივლინებებისთვის გაწეულმა ხარჯმა, ჯამში, 43 507.61 ლარი შეადგინა. ამასთანავე, დაზვერვის სამსახურში გასულ წელს სხვადასხვა უცხოური დელეგაციების მიღებასა და მათთვის ჩატარებულ ღონისძიებებზე 114 620.98 ლარი დაიხარჯა. სამსახურის ხელმძღვანელზე და მის პირველ მოადგილეზე 2013 წელს „როუმინგულ" მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯმა კი სულ 4 721.73 ლარი შეადგინა", – აღნიშნულია ინსტიტუტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. (ნიუპოსტი)

## ცესკო-მ მარნეულის ორი უბნის შედეგები ბათილად ცნო




ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მარნეულში 25-ე და 57-ე უბნების შედეგები ბათილად ცნო. ცესკო-ს პრესსპიკერის, ეკა აზარაშვილის განცხადებით, „გამოქვეყნდა ვიდეომასალა, რომლის მედიასაშუალებებით გავრცელების შემდეგ მარნეულის ოლქმა, საკუთარი ინიციატივით ამ ფაქტებზე მოკვლევა დაიწყო და გამოსცა განკარგულება მარნეულის ორი უბნის №25 და №57 უბნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ. ამ ორი უბნის შედეგები ბათილია", – განაცხადა აზარაშვილმა.

„ნაციონალურმა მოძრაობამ" აღნიშნულ ორ უბანზე არჩევნების გაყალბების დამადასტურებელი ვიდეომასალა 16 ივნისს გაავრცელა. (ნიუპოსტი)

# პეტრე მამრაძე: „ასოცირების ხელშეკრულება არც ისტორიულია, არც შეუქცევადი პროცესის დასაწყისი, სირიასაც კი აქვს ხელი მაგაზე მოწერილი და კარგად ვხედავთ, რაც ხდება სირიაში“



**„ალიას“ ესაუბრება მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე:**

**— ბატონო პეტრე, ღარიბაშვილი აცხადებდა და საზოგადოებაც ელოდა, რომ „ნაციონალები“ ვერ მოხვდებოდნენ საკრებულოებში, მაგრამ ფაქტია, ციფრებმა სხვა რამ აჩვენა. 22%-ს არავინ ელოდა. რა მოხდა?**

– აშკარა იყო, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ განიცდიდა სწრაფ ვარდნას, დისკრედიტაციას... ხალხი განზბილებული იყო, რადგან არ მოხდა მართლმსაჯულების აღდგენა, არ შეინიშნება ძვრა ეკონომიკაში, სამუშაო ადგილები არ არის. „ოცნებას“ თავისი პოლიტიკური ნება ძირითადად საკუთარი კომფორტის მოწყობაში ეხარჯება. კოალიციას ხელში შერჩა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო აპარატი, როგორც საყრდენი ძალა. ეს არჩევნები იყო ადმინისტრაციული რესურსის დემონსტრირება. კოალიციის შემადგენლობას ხმა მისცეს მხოლოდ ერთი ადამიანის გამო, ისევე, როგორც პლასტელინ მარგველაშვილს, თორემ ცალკე სუბიექტები ბარიერსაც კი ვერ გადალახავდნენ. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, ივანიშვილის დისტანცირებისა და ამ გაწბილების ფონზე რაც მოხდა. სხვათა შორის, გოგორიშვილმა თქვა, „ოცნებამ“ იკითხოს, თორემ ყველა ჩვენი მხარდამჭერი გამოცხადდაო. ეს ხალხი არის ყოფილი ადმინისტრაციული რესურსის ნარჩენები. ის ადამიანები, ვინც წილში გადიოდნენ, ემსახურებოდნენ სააკაშვილის რეჟიმს, ვისაც საერთო დანაშაული აერთიანებთ, ვისაც ისეთი პირადი ურთიერთობები აქვთ ძველ რეჟიმთან, რომ თამაშიდან გასვლა უჭირთ. მათ შორის ისინიც არიან, ვისაც იმედი აქვთ, რომ „ნაცისტური“ მთავრობა დაბრუნდება და ათმაგად დაუფასდებათ ერთგულება.

**— ევროპელი დამკვირვებლების შეფასებები აქამდე საანგარიშო მოხსენებებში აისახებოდა ხოლმე, ახლა არჩევნების დღესვე შეფასდა, როგორც დემოკრატიული. არადა არჩევნების მეორე დღიდანვე გაყალბების ვიდეოების სერიალები გამოქვეყნდა. რატომ იჩქარეს ასე განცხადებების გაკეთება?**

– იჩქარეს იმის გამო, რომ ადარებენ საქართველოში არსებულ ვითარებას დანარჩენ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში არსებულ ვითარებას, თუმცა ამაში არ შედის ბალტიის ქვეყნები, რომლებიც არიან ევროგაერთიანების, ნატოს წევრები და ევროპის ორგანული ნაწილია, მაგრამ ნახეთ, რა ხდება დანარჩენ ქვეყნებში? არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ საქართველოში შედარებით ყველაზე უფრო თავისუფალი არჩევნებია. თუ დავანებებთ თავს „ნაცისტების“ პროვოკაციას, ქვების, კვერცხების სროლასა და შეხლა-შემოხლას, ძირითადად ეს ჩატარდა მშვიდად. სხვა საქმეა, უცხოელი დიპლომატი ვერ იტყვის, რომ საქართველოში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების პროცესი ჯერაც არაა დაწყებული. პარტიები საერთოდ არ არსებობს, ესენი არიან კონფიგურაციები, რომლებიც ატამანის გარშემო შემოიკრიბნენ. როგორ უნდა თქვან, რომ ერთ მშვენიერ დღეს კუკავა, რომელიც ვითომ პრორუსულია, გაერთიანდა ვითომ ევროპელ მემარჯვენეებთან? ანდა ვინმე ელოდებოდა იმას, რომ ბურჯანაძე ჯონდი ბაღათურიასთან გაერთიანებულიყო და „ქდმ“-ში შესულიყო? უცხოელებმა ეს კარგად იციან. რაც შეეხება კულუარულ ინფორმაციებს, ამდენი წელია, რეგულარული ურთიერთობები მაქვს უცხოელ ექსპერტებთან და პოლიტოლოგებთან და უშუალო საუბრებში ყველაფერს გეუბნებიან შენს ქვეყანაზე, გულწრფელად გიშლიან გულს კეთილგანწყობით, მაგრამ ოფიციალურ განცხადებაში, ცხადია, ამას არ იტყვიან. მაშინ სხვებზე რაღა უნდა თქვან? მივესალმები იმას, რომ დადებითად შეაფასეს, რადგან, მთელი საქართველოს ინტერესებშია, რომ 27-ში მართლაც უპრობლემოდ მოვაწეროთ ხელი ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც არც ისტორიულია, როგორც ღარიბაშვილი გვიმტკიცებს, არც შეუქცევადი პროცესის დასაწყისი არაა, სირიასაც კი აქვს ხელი მაგაზე მოწერილი და კარგად ვხედავთ, რაც ხდება სირიაში. ის უბრალოდ სასარგებლოა და ერთგვარი სტიმულია, რომ რეფორმები ჩატარდეს.

**— დაღალეს ხალხი ამდენი ტყუილით. გამოდის, ბლეფია ეს ხელშეკრულებაც?**

– სამწუხარო ტენდენციაა ტყუილი განცხადებები, რომელმაც მართლა გადაღალა ხალხი, მათი რეაქცია კი ნახეთ არჩევნებზე. ის, რომ 30% მოდის არჩევნებზე, ხომ არის სილის გაწვნა? იმ ფონზე, როცა მოსახლეობის 80%-ს სძულს „ნაცისტები“, ესენი უშვებენ იმას, რომ სწორედ ეს საძულველი ძალა გამო-

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „გადაგვიღეს კამერებით ისეთ ადგილებში, სადაც არ უნდა გადაეღოთ“



ძიუდოს ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი თამაზ ნავერიანი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გავრცელებულ კადრებს მონტაჟს უწოდებს.

„ეს ყველაფერი არის დეზინფორმაცია, მანდ არ იყო სიტყვიერი ზეწოლა. გადაგვიღეს კამერებით ისეთ ადგილებში, სადაც არ უნდა გადაეღოთ. არაფერი ამდაგვარი არ ყოფილა. არანაირი ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობა არ ყოფილა. ვიღაცა გვიღებდა კამერით და მერე რა დაამონტაჟეს, არ ვიცი. ნაციონალებს ყველაფერი შეუძლიათ“, – განაცხადა ნავერიანმა. (ნიუპოსტი)

## მურღულიას „მერად კურთხევის“ კადრები სანთლების ფონზე



წინასწარი შედეგებით ქუთაისში მერის არჩევნებში გამარჯვებულ „ქართული ოცნების“ კანდიდატს შოთა მურღულიას არჩევნების შემდეგ, გამართულ შეხვედრაზე მისმა მხარდამჭერებმა „სანთლები დაუნთეს“.

სანთლების ანთება უშუქობით არ იყო გამოწვეული. „ფეისბუქში“ მურღულიასთვის სანთლების დანთების ფოტოს მერად კურთხევა უწოდეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „აირაი“ ძალადობის ფაქტებით შეშფოთებულია

„საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ წინასაარჩევნო პერიოდში ძალადობის ფაქტებით შეშფოთებულია.

„უფრო შემაშფოთებელია წინასაარჩევნო პერიოდში ძალადობის ინციდენტები და ხელისუფლების დაგვიანებული პასუხები აღნიშნულ ფაქტებზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტები მცირე ოდენობით იყო, ოპოზიციურ კანდიდატებს უნდა შეეძლოთ, აწარმოონ თავისუფალი საარჩევნო კამპანია არჩევნების სანდოობისთვის. საქართველოს მთავრობამ უნდა გამოიძიოს ეს ფაქტები“. – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## მერაბიშვილმა პოლონეთს პოლიტიკურ თავშესაფარზე უარი უთხრა



ყოფილი პრემიერი ვანო მერაბიშვილი პოლონეთის სეიმის წევრმა მავგორჟატა გოშიევსკამ ციხეში მოინახულა. პოლონელი დეპუტატის ინფორმაციით, ვანო მერაბიშვილს იშვიათად ეძლევა ოჯახის წევრების ნახვის შესაძლებლობა, რაც მისი უფლებების შელახვაა.

„თვითმმართველობის არჩევნებზე არსებულ დარღვევებზე ვესაუბრე ვანო მერაბიშვილს, რომელიც პოლიტიკური ნიშნით არის დაკავებული. მას არ ეძლევა საშუალება, ხშირად შეხვდეს ოჯახის წევრებს. ჩემი პარტიის სახელით სრული მხარდაჭერა გამოუცხადეთ მას და შევთავაზეთ, პოლიტიკური თავშესაფარი მოეთხოვა პოლონეთში, თუმცა უარი განაცხადა“, – ამბობს გოშიევსკა. (ნიუპოსტი)

## საგამოცდო ტესტები ბრიტანეთიდან უკვე ჩამოიტანეს



2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის განკუთვნილი საგამოცდო ტესტები ბრიტანეთიდან საქართველოში უკვე ჩამოიტანეს. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, „საქართველოს ფოსტის“ ტერმინალიდან ტესტების გადანაწილება მოხდა ეროვნული ბანკის საცავში, რეგიონებში კი – პოლიციის მთავარ სამმართველოებში. პროცესს ესწრებოდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი.

როგორც გამოცდების ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, ტესტების ტრანსპორტირებისას დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა.

მათივე ცნობით, 2014 წლისთვის საგამოცდო ტესტები კონფიდენციალური დოკუმენტაცია აღიარებულმა ბრიტანულმა კომპანიამ დაბეჭდა. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

დის მეორე ადგილზე.

**— თქვენი კავშირებით რა ინფორმაციას ფლობთ, ხომ არ მიმდინარეობდა ხელისუფლებასა და უცხოელებს შორის რამე სახის შეხვედრა-შეთანხმებები „ნაციონალების“ მეორე ადგილას დატოვებაზე?**

– ამჯერად მოხდა სხვა რამე. „ნაცისტები“ ყველაფერს აკეთებდნენ უცხოელებთან კონტაქტის დროს იმისთვის, რომ დაემტკიცებინათ, საარჩევნო გარემო არადემოკრატიულია და გვჩაგრავენო. ისინი წარმოაჩენდნენ მხოლოდ ასეთ სურათს: ხელისუფლება და ჩვენ! კიდევაც მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას, გაიხსენეთ განცხადებები სახელმწიფო დეპარტამენტისგან, ელჩებისგან. თუმცა იმ დონეზე ვერ ააგორეს ეს პროვოკაცია, რომ დიდ მასშტაბებზე გასულიყვნენ. სხვა საქმეა, რა დგას ამის უკან.



**— რას გულისხმობთ?**

– რას და, რა ხდება კოალიციაში, რა ურთიერთობებია მასში შემავალ სუბიექტებს შორის. ხომ გამოჩნდა, რომ ერთი ერთ განცხადებას აკეთებს, მეორე – მეორეს... ერთმანეთის საპირისპირო განცხადებები კეთდება. სხვა პოზიცია აქვს ალასანიას, სხვა – უსუფაშვილს. ესეც ძალიან მოქმედებს ადამიანებზე და ამბობენ, ესენი ვინ არიანო?

**— როცა არჩევნების შედეგები გამოცხადდა, სააკაშვილი მაშინვე გამოეხმაურა „ფეისბუკით“, ჩვენ ვბრუნდებითო. რას ნიშნავს ეს „უკანმობრუნების“ ხშირი შეხსენება მისგან? ბევრი ექსპერტი ამბობს, რომ „მოუსავლეთიდან“ სააკაშვილი ველარ მობრუნდება ხელისუფლებაში. ხომ არ იცით, რა გეგმებს აწყობენ?**

**„ეს არჩევნები იყო ადმინისტრაციული რესურსის დემონსტრირება. კოალიციის შემადგენლობას ხმა მისცეს მხოლოდ ერთი ადამიანის გამო, ისევე, როგორც პლასტელინ მარგველაშვილს, თორემ ცალკე სუბიექტები ბარიერსაც კი ვერ გადალახავდნენ. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, ივანიშვილის დისტანცირებისა და ამ განბილების ფონზე რაც მოხდა“**

– ის ვერასდროს მოინელებს ხელისუფლებიდან წასვლას. მე მას ახლოს ვიცნობ და ვიცი, რომ ძალის გარდა, არაფერს ცნობს. ის, რომ შეძლო უამრავი რამ, შერჩა ბევრი რამ, გადაადგილდება, როგორც უნდა, დასეირნობს მთელ მსოფლიოში, ფორუმებზე, ლექციებს კითხულობს, კიევში ჩადის, ჭკუას ასწავლის სხვებს, ეს ყველაფერი მასზე მოქმედებს. ნიუ-იორკში ხვდება თავისიანებს და აჯერებს ყველას, რომ მალე დაბრუნდებიან. სწორედ იმის გამო, რომ მას ახლოს ვიცნობ, ზუსტად ვიცი, რომ რაც უნდა, ჯერ თავად იჯერებს იმას, მერე მუშაობს იმაზე, რომ სხვა დააჯეროს. ამ მუხტით არის დამუხტული ყველასთან ურთიერთობაში, არწმუნებს, რომ ცოტაც და, 2016 წლის არჩევნებამდე ლოდინი არ დასჭირდებათ. აუცილებლად მოხდება რაღაც, რომლის ფონზეც ისინი დაბრუნდებიან. მე ზუსტად ვიცი, რომ მოხდა ოქტომბრის არჩევნებამდე მისი იმპულსურობის გამო სერიოზული რამ, რაც, სხვები რომ არ ჩარეულიყვნენ, კაცმა არ იცის, როგორ დასრულდებოდა. მე ეს ნათქვამი მაქვს თქვენს გაზეთთან ინტერვიუში და მოკლედ გავიხსენებ.

არჩევნების ღამეს სულაც არ აპირებდა სააკაშვილი იმის გამოცხადებას, რომ არჩევნებში დამარცხდა. არც იმას აპირებდა, რომ ძალაუფლება ვინმესთვის დაეთმო. ღამით დაიწყეს საბრძოლო მოქმედებები ხაშურში და სხვაგან, ყუთების გატაცებას აპირებდნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით იქ, სადაც იცოდნენ, რომ წააგებდნენ. ამ დროს მასთან შევიდნენ ამერიკელი სენატორები და ძალიან მკვეთრად უთხრეს, ან საჯაროდ აღიარებ იმას, რაც ფაქტია და ჩვენ დავაფიქსირეთ, ან გააგრძელებ ძალადობას, ჩვენ გამოვალთ და ვიტყვით, რომ საქართველოში მოხდა ძალაუფლების უზურპირება მმართველი დაჯგუფების მიერ და აშშ გადადის ურთიერთობის სხვა რეჟიმშიო. სამაგიეროდ, თუ აღიარებ შედეგებს, ჩვენ გაძლევთ სრულ გარანტიას, რომ პოლიტიკური ნიშნით არც შენ მიმართ და არც ერთი შენი თანაგუნდელის მიმართ დევნა არ იქნებაო. იქ არ თქმულა, რომ, თუ რამე სამართალდარღვევა ექნებოდა, იმას აპატიებდნენ. საუბარი იყო მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებაზე. ამ დროს სააკაშვილის გუნდის ზოგიერთმა წევრმა, გვარს ახლა არ დავასახელებ იმის გამო, რომ უბრალოდ არ მაქვს საბუთი, რომ დოკუმენტი დავუდო, უთხრა, სჯობია, ვაღიაროთ, იმიტომ, რომ, თუ გავიჭედეთ, მოგვიწევს გამიჯვნა და თქმა იმისა, რომ ერთი გუნდი არ ვართო. მერე გამოჩნდა, რომ დასავლეთს, ევროპასაც და ამერიკასაც ფრიად არ აწყობს ის, რომ სააკაშვილის მიმართ აღიძრას საქმე. ამაზე დაიწყეს გულახდილი საუბარი, სწორედ გაგვიგეთ, ახლა ეს რბილი გადასვლა სანიმუშოა და თუ საქმეს აღძრავთ, ყველაფერს გააფუჭებთო.



უნდოდათ, დსთ-ს ავტორიტარულ ლიდერებს დაენახათ, რომ დასავლეთი დაჰპირდა და სააკაშვილმა არჩევნებით დათმო ძალაუფლება და თუ არ შეასრულა სიტყვა, მაშინ არავინ არ დათმობსო.

**— ნუგზარ წიკლაური აცხადებს, შემოდგომაზე ხელისუფლებით უკმაყოფილო ხალხი აქციებს იწყებს და ჩვენც შევუერთდებითო. უბრალოდ იქადნებიან „ნაციონალები“ თუ მართლა აპირებენ რამეს. გაქვთ ინფორმაცია?**

– ყველაფერი ზედაპირზეა. „ნაცისტები“ ცოცხალი თავით არ თმობენ სრულიად ყალბ ნიღაბს და იმიჯს, რომ აქაოდა არიან პროგრესული და პროდასავლური ძალა. ყველა დასავლელ პარტნიორს ეუბნებიან, კი ბატონო, გვაქვს ნაკლი და ვცდილობთ, გამოვასწოროთ, რაზეა საუბარი, გამოცდილება გვაკლიაო, მაგრამ გაგვიწიეთ ანგარიში, რადგან ჩვენ გარდა საქართველოში პროდასავლური ძალა არ არის, ყველა სხვა ძალა არის ან კრემლის, ან როგორც კი რამე მოხდება, საქართველოს ვექტორი პრორუსული იქნებაო. ამათ უნდათ, ეს ხელისუფლება მოაშორონ ძალაუფლებას და გააკეთონ ეს 2016 წლამდე. აქცენტი გაკეთებული აქვთ სოციალურ პრობლემებზე. მე პირადად მომსვლია მათი ფრაზები, რომლის ფარგლებშიც ხელისუფლება ყველა სოციალურ პრობლემას უსუსურად პასუხობს, არათუ გააკეთოს რამე, პასუხის გაცემაც არ იციან, ამის გამო კი „ნაციონალები“ მათ „აყირავებასა“ და მოშორებას აპირებენ. სოციალური პრობლემებით განბილება გაზაფხულზე ხდება ხოლმე, ამიტომაც ამ დროს შეიქმნება ფონი აქციებისთვის. „ნაცებს“ სჯერათ იმის, რაც თავად უნდათ, მადა და ზრახვები ძალიან დიდი აქვთ.

**„მთელი საქართველოს ინტერესებშია, რომ 27-ში მართლაც უპრობლემოდ მოვაწეროთ ხელი ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც არც ისტორიულია, როგორც ღარიბაშვილი გვიმტკიცებს, არც შეუქცევადი პროცესის დასაწყისი არაა, სირიასაც კი აქვს ხელი მაგაზე მოწერილი და კარგად ვხედავთ, რაც ხდება სირიაში“**

»» **ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რაგბის მსოფლიო ჩემპიონატს შესაძლოა, საქართველომ უმასპინძლოს




რაგბის მსოფლიო ჩემპიონატის საქართველოში ჩატარებაზე, საქართველოს რაგბის კავშირს განაცხადის გაკეთებაზე თანხმობა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე მისცა.

რაგბის კავშირი შესაბამის განაცხადს 27 ივნისს წარადგენს.

„ჩვენ გვაქვს რაგბის საერთაშორისო ფედერაციის დიდი მხარდაჭერა, რომ აღნიშნული ჩემპიონატი საქართველოში ჩატარდეს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საქართველოს ცნობადობის გაზრდის, ქართული სპორტისა და კულტურის პროპაგანდის, ასევე, რაგბის პოპულარიზაციის მიმართულებით“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენლებმა საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და მინისტრთა კაბინეტის წევრებს 2015 წლის მსოფლიო თასისთვის მოსამზადებელი გეგმაც წარუდგინეს. 2015 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელსაც დიდი ბრიტანეთი უმასპინძლებს, საქართველო უძლიერესი გუნდით წარდგება, ასევე, იგეგმება სხვადასხვა ღონისძიებები ქართული კულტურისა და ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით. რაგბის მსოფლიო ჩემპიონატს საქართველომ შესაძლოა 2017 წელს უმასპინძლოს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მაჟორიტარობის კანდიდატის მანქანაზე საბურავების მოხსნის გამო სამი პირი დააკავეს



შსს-ს ბათუმის საქალაქო სამმართველოს მეოთხე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, პოლიტიკური პარტია „რეფორმატორების“ ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატ ნუგზარ ჯინჭარაძის კუთვნილი ავტომობილის გაქურდვის ბრალდებით 3 პირი: 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კონსტანტინე ს., 1989 წელს დაბადებული იური ხ. და 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიორგი გ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 15 ივნისს, ბათუმში, ასათიანის ქუჩაზე, ჯინჭარაძის კუთვნილი ავტომანქანა „ფოლკსვაგენს“ ოთხივე საბურავი მოხსნეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. გამოძიებით დადგინდა, რომ იური ხ-მ ნაქურდალი საბურავები იმავე მარკის საკუთარ ავტომანქანაზე დააყენა.

სამართალდამცველებმა სამივე პირი ბათუმში მომხდარიდან ორ დღეში დააკავეს. მოპარული საბურავები ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. (ნიუპოსტი)



## საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მოადგილე მიმალვაში იმყოფებიან?

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ზურაბ ჯაფარიძის ინფორმაციით, მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მოადგილე მიმალვაში იმყოფებიან.

„16 ივნისს ღამე გამოიცა განკარგულება. შემდეგ გადათვალეს ხმების პროპორცია ამ უბნების შედეგების გაუქმების გათვალისწინებით. ნახეს, რომ მეორე ტურია. კომისიის თავმჯდომარემ გზაში დაურეკა ჩვენს წარმომადგენელს და ეხვეწა, დაეხია ეს ასლი, რადგან მოკვლით ემუქრებოდნენ. საოლქომ ეს დოკუმენტი არ გადაუგზავნა ცესკო-ს. ასლი გვაქვს მხოლოდ ჩვენ. ამ წუთებში საოლქოს თავმჯდომარე და მოადგილე მიმალვაში არიან. ახლობლებს ეუბნებიან, რომ ოჯახის ამოწყვეტით ემუქრებიან“, – წერს ზურაბ ჯაფარიძე „ფეისბუკზე“. (ნიუპოსტი)

# რა მიზანს ემსახურება ირაკლი ალასანიას ახალი ეროვნული სამხედრო სტრატეგია?

„ოცნების“ მთავრობამ ეროვნული სამხედრო სტრატეგია დაამტკიცა. დღემდე 2005 წელს, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული სტრატეგია მოქმედებდა. „ალია“ დაინტერესდა, რა ცვლილებები შევიდა დოკუმენტში, რით განსხვავდება ახალი სამხედრო სტრატეგია ძველისგან?

თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, რუსუდან ციმაკურიძემ „ალიას“ განუცხადა, რომ დამტკიცებული სახით, დოკუმენტი მათთან ჯერ არ შესულა (სტრატეგია თავდაცვის სამინისტრომ და გენშტაბმა შეიმუშავეს და შენიშვნებისთვის გადაეგზავნა უშიშროების საბჭოს).


თეონა აქუბარდია

**„ალიას“ ესაუბრება უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, ᲗᲔᲝᲜᲐ ᲐᲥᲣᲑᲐᲠᲓᲘᲐ:**

**— რით განსხვავდება ახალი დოკუმენტი 2005 წლის ეროვნული სამხედრო სტრატეგიისგან?**

– 2005 წლის შემდგომ იყო აგვისტოს ომი, იყო გადაფასებული ყველა სტრატეგიული დოკუმენტი, 2011 წელს პარლამენტმა დაამტკიცა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, იერარქიულად ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე დაყრდნობით უნდა მომხდარიყო შემდგომ უკვე განახლება ეროვნული სამხედრო სტრატეგიისა. ძირეული ცვლილებები სტრატეგიაში არ მომხდარა, არ შეცვლილა საფრთხეები, ახლაც იგივეა, ანუ მოდის რუსეთის მხრიდან, რამდენადაც დოკუმენტი ეყრდნობა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასა და საფრთხეების შეფასების დოკუმენტს, რომელიც პრეზიდენტის მხრიდან იქნა დამტკიცებული 2010 წელს. რუსეთის აგრესია და მცოცავი ოკუპაცია ისევ არის დაფიქსირებული დოკუმენტში და არის ნათქვამი, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია ხელყოფს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და დესტაბილიზაციის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ასევე საუბარია, რომ კავკასიის რეგიონში არსებული არასტაბილური მდგომარეობა უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებაზეც და ჩამოთვლილია მთელი რიგი საფრთხეები, რაც არსებობს ჩვენი ქვეყნის წინაშე, ტრანსნაციონალური კიბერუსაფრთხოებიდან დაწყებული, ბუნებრივი კატასტროფებით დასრულებული.

**— რა სტრატეგიაც გვქონდა, ამის შედეგები ვნახეთ აგვისტოს ომის დროს. ახლა თუ შეიცვალა დოკუმენტში რაიმე ამ მხრივ? გაიზრდება უსაფრთხოების ხარისხი და თავდაცვისუნარიანობა?**

– ზოგადად, შემიძლია გითხრათ, რომ მთავარი აქცენტი საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მიზნებში არის შეკავებასა და თავდაცვის უზრუნველყოფაზე. რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოების დამტკიცების ხელშეწყობა და ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა საგანგებო და ბუნებრივი კატასტროფების დროს. ხოლო ამ მიზნების მისაღწევად შეიარაღებული ძალები უზრუნველყოფს თავდაცვის ხარისხის გაუმჯობესებას, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას და ეროვნულ ფორმატში თანამშრომლობას სტრატეგიულ პარტნიორებთან. შემდეგ დოკუმენტში უკვე საუბარია სამხედრო ამოცანების წარმატებით განხორციელებისთვის შესაბამისი რესურსების აუცილებლობაზე, საბრძოლო მზადყოფნის მაღალ დონეზე და მჭიდრო უწყებათაშორის თანამშრომლობაზე. მთავარი სამხედრო სტრატეგიაში არის ის, რომ ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები, რომელთა ნაწილს კვლავ შეიარაღებული ძალები წარმოადგენენ და ამასთანავე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს შეიარაღებული ძალების განვითარებას.



**„დღეს იგივე სახელები და გვარები მართავენ შეიარაღებულ ძალებს, აქედან გამომდინარე, რა მნიშვნელობა აქვს სამ დღეში „ტ-34“-ებით წავაგებთ ომს, თუ ახალი მოდელის შეიარაღებით? შეიარაღებული ძალების განვითარება არ ხდება ქაღალდით“**

**ვინაიდან ოფიციოზი კონკრეტიკისგან თავს იკავებს, „ალია“ ექსპერტს თავდაცვის საკითხებში, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲐᲕᲓᲒᲘᲠᲘᲫᲔᲡ დაუკავშირდა:**

**— როგორც ვიცი, ახალი ეროვნული სამხედრო სტრატეგიის პირვანდელი ვარიანტი ნანახი გაქვთ. რა ცვლილებებს ხედავთ 2005 წლისა და 2014 წლის 17 ივნისს დოკუმენტებს შორის?**

– მთავარი შენიშვნა ისაა, რომ საერთოდ, ახალი დოკუმენტის მიღება არის ირაკლი ალასანიას მორიგი პიარნაბიჯი. მიუხედავად იმისა, რას იტყვის ახლა უშიშროების საბჭო, რომელიც არ იყო აქტიურად ჩართული ამ პროცესებში, ის მხოლოდ „აპრავებს“ ირაკლი ალასანიას ძალისხმევას, გააპიაროს თავისი მოქმედებები თავდაცვის სამინისტროში. დავიწყოთ იქიდან, რომ ეროვნული უშიშროების საბჭო არ არის მზად და არც სათანადო კომპეტენცია გააჩნია, ოპონირება გაუწიოს თავდაცვის სამინისტროს. მარტივი შეკითხვები მაქვს ეროვნული უშიშ-

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ...

## პრემიერი საკუთარ განცხადებას განმარტავს



პრემიერ-მინისტრმა თვითმმართველობის არჩევნები კიდევ ერთხელ შეაჯამა.

„მე გადავწყვიტე, როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა, პირადად ჩავაბარო ანგარიში ჩვენს ამომრჩეველს და ჩვენს მოსახლეობას. სამწუხაროდ, ამ დღეების განმავლობაში ვხედავ, რომ დამახინჯებულად მიმდინარეობს საინფორმაციო პროპაგანდა სხვა ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებზე ხდება აქცენტის გაკეთება. მაჟორიტარული და პროპორციული არჩევნების შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს მასშტაბით 67.6 მეათედი პროცენტით ლიდერობს „ქართული ოცნება“, რომელიც დასტურდება ცესკო-ს საბოლოო მონაცემებით, დანარჩენი პარტიებიდან 20 პროცენტი, „ნაციონალური მოძრაობა“ 13 პროცენტი, მივესალმებით მრავალპარტიულობას, მოხარული ვართ, რომ საინიციატივო ჯგუფები იკავებენ მეორე ადგილს, მათ „ნაციონალური მოძრაობა“ მოსდევს, ეს არის ქართული დემოკრატიის გამარჯვება.

აბსოლუტური უპირატესობა აქვს „ქართულ ოცნებას“. ყველა საკრებულოში მოვიპოვეთ უმრავლესობა. ამ არჩევნებში კარგად ჩანს ხალხის ნდობის საკითხი, ჩვენს კოალიციას სრული მხარდაჭერა აქვს საზოგადოებისგან. 1049 მანდატიდან „ქართულ ოცნებას“ 811 მანდატი ერგო, „ნაციონალურ მოძრაობას“ კი – 64 მანდატი.

სწორედ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ქვეყნის მასშტაბით, ვერც ერთ თვითმმართველ ქალაქში საკუთარი მაჟორიტარი დეპუტატის გაყვანა ვერ შეძლო.

ამრიგად, ქვეყნის მასშტაბით, „ქართულ ოცნებას“ წილად ხვდა მაჟორიტარული მანდატების 77.31 პროცენტი. „ნაცმოძრაობის“ მაჩვენებელი 6.1 პროცენტია. ეს არის ის მაჩვენებელი, რომელიც ძალიან ახლოს არის რეალობასთან. რომ არა ამომრჩეველთა პროცენტულად ნაკლები რაოდენობა, ეს მაჩვენებელი, ჩვენს სასარგებლოდ, კიდევ უფრო გაიზრდებოდა“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. (ნიუპოსტი)

ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ...

## „ივანიშვილის დავალება იყო, რომ ბარიერი არ გადაგველახა“



„ბლოკი არასაპარლამენტო ოპოზიციის“ ლიდერის კახა კუკავას განცხადებით, მის პოლიტიკურ მოძრაობას თვითმმართველობის არჩევნებში ხმები ბიძინა ივანიშვილის „დავალებით მოჰპარეს“.

„ჩვენ ვიყავით არასატელიტური ოპოზიცია, არასდროს არ გვქონდა „ქართულ ოცნებასთან“ ურთიერთობა, იყო დავალება შს სამინისტროდან, რომ ყველა უბანზე უნდა მოეპარათ ჩვენი ხმები. რა თქმა უნდა, ჩვენ ვაცნობიერებთ იმას, რომ ქართულმა საზოგადოებამ უნდობლობა გამოგვიცხადა, აქ იყო ბიძინა ივანიშვილის დავალება, რომ ჩვენ არ უნდა გადაგველახა ბარიერი“, – განაცხადა კუკავამ. (ნიუპოსტი)

## „ივანიშვილის რეჟიმს სტომაქის ცენტრი მოშლილი აქვს“



„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი საარჩევნო შედეგების ბათილად ცნობასა და ბიულეტენების თავიდან დათვლას მოითხოვს.

„ეს არჩევნები არის დანაშაული და ფალსიფიცირება, სადაც შეეძლოთ, ბოლომდე გააყალბეს. ამიტომ თავიდან უნდა გადაითვალოს არჩევნების შედეგები. ეს არის სირცხვილი ივანიშვილის დანაშაულებრივი რეჟიმისა, რომელსაც სტომაქის გაძლომის ცენტრი მოშლილი აქვს. ყველა ოლქის შედეგები გავასაჩივრეთ. ყველგან ვითხოვთ შედეგების თავიდან გადათვლას. არჩევნები უნდა ჩაიშალოს და ახლიდან ჩატარდეს. სხვა შემთხვევაში მეორე ტური კი არ გველოდება, გველოდება ამ რეჟიმის დამხობა და ახალი მთავრობა. ივანიშვილმა თავის თავს მოუმზადა ვულკანი იმ 70% ის სახით, რომელიც არჩევნებზე არ გამოცხადდა“, – განაცხადა ნათელაშვილმა. (ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

როების საბჭოსთან. თავდაცვის სისტემაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია სამი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, ეროვნული სამხედრო სტრატეგია და საფრთხეების შეფასების დოკუმენტი. საფრთხეების შეფასების დოკუმენტი არის საიდუმლო, მაგრამ დანარჩენი ორი არის გარკვეულწილად საჯარო. მას შემდეგ, რაც „ნაციონალური მოძრაობა“ გავიდა ასპარეზიდან, ქვეყანა არის პოსტნაციონალური რეჟიმის პერიოდში. ამ დროის განმავლობაში, ფაქტობრივად, მნიშვნელოვნად შეიცვალა შიდა და საგარეო პოლიტიკა. აგრესიული პოლიტიკა რუსეთის მიმართ შეიცვალა გარკვეული დაბალანსებული პოლიტიკით.



აქედან გამომდინარე, თავისთავად უნდა შეცვლილიყო ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტი, სპეცსამსახურებსა და თავდაცვის სამინისტროს უნდა მოემზადებინათ საფრთხეების შეფასების ახალი დოკუმენტი, მხოლოდ ამ ორი დოკუმენტის მიღების შემდგომ და უნდა შეცვლილიყო ეროვნული სამხედრო სტრატეგია. ვსვამ მარტივ კითხვას, თუ ეს დოკუმენტი ძველი დავტოვეთ, რა საჭიროა ახალი ეროვნული სტრატეგია? უსაფრთხოების ახალი კონცეფცია არ გვაქვს, საფრთხეების შეფასების ახალი დოკუმენტი არ გვაქვს, რის მიხედვითაც უნდა იწერებოდეს ეროვნული სამხედრო სტრატეგია. რატომ ვიწყებთ ბოლოდან? მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტზე დაყრდნობით იცვლება ეროვნული სამხედრო სტრატეგია, მთელი კონცეფციები.

მე ვფიქრობ, ახალი ეროვნული სამხედრო სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება, უნდა მომხდარიყო ორ ფონზე, ან უნდა აეხსნა თავდაცვის სამინისტროს, რა ისეთი ხარვეზები იყო წინა დოკუმენტში, რომ ასე არა რიგობით მომხდარიყო დოკუმენტის ცვლილება, რაც იძულებულს გვხდიდა, ახალი სტრატეგია შეგვემუშავებინა, ან რა ახალი ფაქტორის გამო ვიღებთ ახალ ეროვნულ სამხედრო სტრატეგიას? მარტივად გეტყვით, მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს. თუკი თქვენ გაქვთ მართვის მოწმობა, მოძრაობის წესები არ შეცვლილა, არც დრო გასულა თქვენს მართვის მოწმობას, არც მანქანის კატეგორია არ შეგიცვლიათ, რატომ უნდა აიღოთ ახალი მართვის მოწმობა? მე ვნახე დოკუმენტის პირვანდელი ვარიანტი, რომელიც არსებითად არ განსხვავდება წინა დოკუმენტისგან, იქ საფრთხეები იგივეა, რაც იყო წინა დოკუმენტში, გამოწვევებიც იგივეა, რისკებიც, უბრალოდ, ერთი დამაჯერებელი არგუმენტი ვერ მივიღე კითხვაზე პასუხად, – რა საჭირო იყო ახალი სამხედრო სტრატეგიის შემუშავება?

**— თვითონ დოკუმენტის ახალ სტრატეგიასთან დაკავშირებით თუ გაქვთ რაიმე შენიშვნა?**

– ეს არის დოკუმენტი დოკუმენტისთვის, სადაც არის ბევრი ლოზუნგი, ხშირად არის აპელირება იმაზე, რომ უნდა გაიზარდოს თავდაცვის სამინისტროს შესაძლებლობები და მუდმივად აქცენტი არის ამ შესაძლებლობების ზრდაზე, მაგრამ ერთი რამ ავიწყდებათ, ეროვნული სამხედრო სტრატეგია არის დოკუმენტი, რომელიც საჭიროა დღეს, რა ხდება დღეს და არა, რა იქნება მომავალში. რა იქნება ხვალ, რა საფრთხეები შეიძლება იყოს, ამისთვის სხვა სახის დოკუმენტები არსებობს. ძალიან მარტივია აქ ყველაფერი, ეროვნული სამხედრო სტრატეგია, ეს ნიშნავს დღეს არსებულის სწორად გამოყენებას.



**„ახალი დოკუმენტის მიღება არის ირაკლი ალასანიას მორიგი პიარნაბიჯი. მიუხედავად იმისა, რას იტყვის ახლა უშიშროების საბჭო, რომელიც არ იყო აქტიურად ჩართული ამ პროცესებში, ის მხოლოდ „აპრავებს“ ირაკლი ალასანიას ძალისხმევას, გააპიაროს თავისი მოქმედებები თავდაცვის სამინისტროში“**

**— როგორც მითხრეს, შემაკავებელ ფაქტორზეა დოკუმენტში აქცენტები. იმის გათვალისწინებით, რომ გვეუბნებიან, ნატოს სტანდარტების ტექნიკა აქვს ჩვენს ჯარს, რამდენად ეფექტურად შეძლებენ აგრესორის შეკავებას, რა ვადით, ამ დოკუმენტით ამის თქმა შეიძლება?**

– ამისთვის უნდა გქონდეს სწორად შეფასებული საფრთხეები და რისკები. ასევე, უნდა გყავდეს კარგად მომზადებული ხალხი, რომელიც ამ შეიარაღებას გამოიყენებს. ჩვენ არც შეიარაღება გვაქვს, არც განსაკუთრებული ტექნიკური აღჭურვილობით გამოვირჩევით და მით უმეტეს, არც ხალხი გვყავს. დღეს იგივე სახელები და გვარები მართავენ შეიარაღებულ ძალებს, აქედან გამომდინარე, რა მნიშვნელობა აქვს სამ დღეში „ტ-34“-ებით წავაგებთ ომს, თუ ახალი მოდელის შეიარაღებით? შეიარაღებული ძალების განვითარება არ ხდება ქაღალდით, მით უმეტეს, რომ განვითარების კონცეფცია, რომელიც რეალობასთან იქნება ახლოს, არ გვაქვს. ამიტომ, ამ ეტაპზე, მხოლოდ სტრატეგიული კონცეფციის დოკუმენტით, თქვენს კითხვებზე კონკრეტული პასუხის გაცემა გამიჭირდება.

**შორენა გოგოლაძე**
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „გამარჯობათ „ნაციონალური მოძრაობის“ აგენტებო რუსეთისა“



„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის ირმა ინაშვილის განცხადებით, საქართველოს საზოგადოების მთავარი პრეტენზია არის ის, რომ არ მოხდა სამართლიანობის აღდგენა.

„გიგი უგულავამ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ მოიხსენია ოკუპანტთან ერთად, მასთან ერთად მინდა მივმართო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, რომელიც არის აკანკალებული და ვუთხრა, რომ მათზე დიდი აგენტი არ ჰყოლია რუსეთს, ისინი ყველა იმ დავალებას ასრულებდნენ ფარულად, რაც რუსეთის ინტერესებში შედიოდა, მათ საქართველოს მიწის 22 პროცენტი რუსეთს აჩუქეს. გამარჯობათ „ნაციონალური მოძრაობის“ აგენტებო რუსეთისა, თქვენ თქვენი აგენტობის დამალვა გსურთ და მთელი საქართველო რუსეთის აგენტებად გამოაცხადეთ, ჩემო გიგი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ იზოლაცია კი არ უნდა მოხდეს პოლიტიკური სივრციდან, თქვენ და „ნაციონალური მოძრაობა“ ხართ საშიში საზოგადოებისთვის. მე მთავრობას მივმართავ პასუხი გაგებინონ და მიგაბრძანონ ვანო მერაბიშვილის მსგავსად იზოლატორში, ისინი ერთ იზოლატორში უნდა მოათავსო და იქ ვის გაახსენდება, ვინ არის ცვედანი და ცვედანობა, ყველა ვნახავთ.

მთავარი პრეტენზია, რაც ჩვენს საზოგადოებას აქვს, არის ის, რომ სამართლიანობა არ აღდგა და დღეს „ნაცმოძრაობის“ ლიდერები კვლავ „ბლატაობენ“. „ქართულ ოცნებას“ ისინი უნდა დაესაჯა და გიგი უგულავა შემდეგ ასე ველარ ისაუბრებდა.

მე ვხედავ, რომ ჩვენი წარმატება მოულოდნელი იყო, ეს ნიშნავს იმას, რომ დიდი მხარდაჭერა გვაქვს. საქართველოში არ არის 3 მილიონ 500 ათასი ამომრჩეველი, საარჩევნო სიები არ დაზუსტებულა და ეს იყო გამოყენებული შემდგომი მანიპულაციებისთვის. ჩვენ ოთხ ოლქში გვაქვს მეორე ტური „ქართულ ოცნებასთან“ ერთად და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოვუგებთ „ქართულ ოცნებას“, – განაცხადა ინაშვილმა. (ნიუპოსტი)

## მეტალურგიულ ქარხანაში ერთი ადამიანი გარდაიცვალა



რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში საწარმოს ფოლადსადნობი საამქროს ოპერატორმა, ნუკრი ქიმაძემ სამსახურში ყოფნისას ელექტროტრამვა მიიღო. ქიმაძე მეტალურგიული ქარხნის საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. უბედური შემთხვევის მიზეზს გამოძიება დაადგენს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „მე არ მჭირდება ფულით ნაყიდი წარმატება“



საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები შეაჯამა.

„ჩვენ განსხვავებული კატეგორიის პოლიტიკური ძალა ვართ, რა თქმა უნდა ის დაბალი აქტივობა, რაც არჩევნებზე დაფიქსირდა ხალხში უნდობლობას ასახავს, ეს დამაფიქრებელი უნდა იყოს თითოეული ჩვენგანისთვის. იმ სიტუაციაში, როცა მე არ მომეცა არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, სრულიად უცნობი კანდიდატი დავაყენეთ, ჩვენ შევძელით საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგების დადება, მეორე ადგილი დავიკავეთ, როგორც ოლქში ასევე ქალაქში. რა თქმა უნდა, ეს არ არის გამარჯვება, მაგრამ ჩვენთვის ეს არის წარმატება.

გაყალბებას თავისებური სახეები გააჩნია, თუ ვისაუბრებთ იმაზე, რომ რაიმე სახის მანიპულაცია მიმდინარეობდა, ამას ვერ ვიტყვი. ჩვენ დავიცავით ყველა წესი, მე არ მჭირდება ფულით ნაყიდი ნდობა. მეორე ტურში ჩვენ ვიბრძოლებთ და დარწმუნებული ვარ, მივაღწევთ წარმატებას“, – განაცხადა ოქრუაშვილმა. (ნიუპოსტი)



## მომხდარ დარღვევებზე ცესკო-ს ადეკვატური რეაქცია ექნება

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თამარ ჟვანიას განცხადებით, ცესკომ შესაბამისი რეაგირება მოახდინა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების განმავლობაში მომხდარ უკანონობებზე. მისივე განმარტებით, ყვარელში არსებულ უკანონობებზე მას ინფორმაცია არ აქვს, საჩივრების არსებობის შემთხვევაში ცესკოს შესაბამისი რეაქცია ექნება.

„მარნეულში მომხდარ დარღვევებზე ცესკო-ს ადეკვატური რეაქცია ექნება. ამის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ 16 ივნისს, როგორც კი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კადრები გამოაქვეყნა მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისია შეიკრიბა და ამ ორ უბანზე დათვლილი შედეგები ბათილად იქნა ცნობილი. რაც შეეხება დედოფლისწყაროში მომხდარ ფაქტს, დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიაში მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ეს კონკრეტული უბანი შემოწმდეს. ის ფაქტი, რომ კომისიის თავმჯდომარე იმყოფებოდა გარეთ, მაშინ როდესაც არ უნდა ყოფილიყო და ის ვერ ართმევდა თავს ოქმის შევსებას შესაბამის პერიოდში, ეს ცალკე განხილვის თემაა და ამ ადამიანს შესაბამისი დისციპლინარული სასჯელი ექნება. რაც შეეხება ყვარელში არსებულ დარღვევებს, ამ ეტაპზე არ მაქვს ინფორმაცია. ვნახავთ თუ იქნება საჩივრები ამ საკითხებზე და თუ დადასტურდება, რომ დარღვევები იყო, შესაბამისი რეაქცია გვექნება“, – განაცხადა ჟვანიამ. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



ამიერკავკასიაში უდიდესი – რუსთავის ავტობაზრობა სავალალო მდგომარეობაში მას შემდეგაა, რაც აზერბაიჯანში „ევრო 4“ სტანდარტი დაწესდა და აიკრძალა 2005 წლამდე გამოშვებული მანქანების შეძენა. ბაზრობაზე კი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოყვანილ უამრავ მანქანას ძირითადად აზერბაიჯანელები და სომხ-ყოფილა გამოშვებული.

– თათარს აღარ მიჰყავს მანქანები და ამ ბიზნესმა დაყვინთა. კანონი პირველი აპრილიდან მიიღეს და ამის შემდეგ დაგვერხა. მაგათი მიკვირს, ბაქოში „ევრო 2“-ის სტანდარტი აქვთ ძირითადად და უცებ „ოთხზე“ შეხტნენ, არც სამაგისო სერვისი ში“ ხელისუფლება ადგა და აზერბ-ის ნაცვლად საქმე ჩინელებს მისცა ბოლოს, „კასაგლაზიკებს“. მაგ თემას ჩვენ ვერ გადავწყვეტთ, მაგრამ ფაქტს გეუბნები.

**— მანქანის აქ გაჩერება რა ღირს დღიურად?**

– 13 ლარი ღირს დღის მანძილზე ნა უნდა მაგ ვალის გასტუმრებას.

**— კი, მაგრამ აპრილამდეც ხომ იცოდნენ, რომ აზერბაიჯანელები აღარ იყიდიდნენ, ამდენი მანქანა რაღას ჩამოჰყავდათ?**

– მერე ყიდიან მუქთად, რაც ადრე ღირდა ეს მანქანები, იმაზე 1000 დოლარით იაფად ვყიდით. „ასტრა ჯი“ განუბაჟებელი ადრე მიჰყავდათ დის.

**— სომხებიც არ მოდიან?**

– სომხებს კიდევ თავისი პრობლემა აქვთ.

**— რა პრობლემა?**

– ეგენი გადავიდნენ რუსეთის წესზე, ის წესი კი გულისხმობს, რომ განბაჟება ორჯერ და სამჯერ ძვირი

# რუსთავის ავტობაზრობას ილჰამ ალიევის ცოლის ფირმა ყიდულობს

## რაში ხედავენ კრიზისიდან გამოსავალს ავტოდილერები

ები ყიდულობდნენ. აზერბაიჯანისგან განსხვავებით, სომხეთში ევრაზიული საბაჟო კავშირის გამო განბაჟება გაძვირდა. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, სწორედ ავტომობილების რეექსპორტს შეჰქონდა ბიუჯეტში ყველაზე დიდი თანხები. დღეს ეს ბიზნესი კვდება და რა ხდება?

გადავწყვიტეთ, ადგილზე გვენახა, რა მდგომარეობაშია ბაზრობა. ვინც რუსთავის ცნობილ ავტობაზრობაზე ბოლო ხანს ყოფილა, თვალში მაშინვე ეცემოდა, რომ მანქანების გასაყიდი ჯიხურების რაოდენობა მკვეთრადაა შემცირებული, ისეთი სიხშირით აღარ დგას ბანკების ოფისებიც. თავად ტერიტორიაზე კი უცნაური, „მკვდარი სიწყნარეა“. გარშემო უამრავი მანქანა დგას, მყიდველი კი, ნურას უკაცრავად!

წითელ „ოპელ ასტრასთან“ შევჩერდი და კარგა ხანი მომიწია დგომა, ვიდრე ხმის გამცემი გამომიჩნდებოდა. ბოლოს ჯინსებიანი კაცი მოვიდა, ვლაპარაკობთ. სამი მანქანა ჰყოლია ჩამოყვანილი გერმანიიდან და სამიდან აქ ერთი დგას, მამაკაცის თქმით, სამივე მანქანა 2005 წლამდე



აქვთ, ეტყობა, ჩვენ გაგვიჩალიჩეს.

**— ჩვენ გაგვიჩალიჩეს? კი, მაგრამ, რატომ?**

– აზერებმა მოიგეს რუსთავ-თბილისის გზების ტენდერი. მოკლედ, ჰქონდათ მოგებული მაგათ და იქ რა მოხდა, კაცმა არ იცის. „იტოგ-შაბათ-კვირას, ამას დაუმატე ხუთი ლარი მომსახურების და ისე, ყოველდღიურად 2-2 ლარი. ეს აქ, მაღლობზე და ქვემოთ კი ღირს 20-25 ლარი. ძვირია, რაა. ამ დროს, აქ ხალხს მანქანები ჰყავს, ერთი მანქა-იმ ფასში, რასაც მე განბაჟებულს ვყიდი. მე ამას ახლა მოვიცილებ და მორჩა, აქ ფეხს არ დავდგამ. შაბათ-კვირას უფრო გამოცოცხლდება აქაურობა, დანარჩენ დღეებში რაღა მამაჩემ ხუტუნიასთან მისულხარ საფლავზე და რაღა აქ! კაცი არ მო-უჯდებათ რეალურზე.

**— რატომ?**

– რატომ და რუსეთი თავის მანქანებს აწარმოებს, იმ „ნივას“ და იქ წარმოებულ სხვა მანქანებს და იმას შიდა ბაზარში ყიდის, იმას აწყობს, რომ რაც შეიძლება, ბევრი მანქანა შემოსდიოდეს გარედან? მერე, რუსულ მანქანას ვინ იყიდის? ამიტომ გაძვირებული აქვს ბაჟი. სომხეთი სულ გადაიკეტა ჩვენთვის.

**— რამდენიმე ავტოდილერს ველაპარაკე, გამოწერით ვისაც ჩამოჰყავს და გახსნილად არ საუბრობენ. ბოლომდე არ ამბობენ სათქმელს. მაგათთან როგორ არის საქმე?**

– ეგ სახიფათოა და გეტყვით, რატომ. ჯერ ლოდინი გიწევს და მერე, რა მანქანა იქნება, არ იცით. ეგ არის ძირითადად, „ლოხებისთვის“. იქ როგორ არის, იცით? კომპიუტერიდან ნახულობთ, რომ არის აუქციონი, ირჩევთ მანქანას, იგებთ იმ აუქციონს და ყიდულობთ იმ მანქანას, მაგრამ რა მანქანაა, არ იცით. ეგენი მანქანაზე არიან კომპიუტერით „ატვეჩაები“, მაგრამ სინამდვილე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## „თუ გაზრდილია საშემოსავლო გადასახადი გაზრდილი უნდა იყოს ხელფასი“

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური აცხადებს, რომ საშემოსავლო გადასახადი გაზრდილია. მინისტრი სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც I კვარტალში საშუალო ხელფასის ოდენობა 13,3%-ით შემცირდა.

„მოვიკითხავ, სტატისტიკის ეროვნულ დეპარტამენტში რა მასალებს ეყრდნობოდა ეს მაჩვენებელი. საშემოსავლო გადასახადი ქვეყანაში გაზრდილია, ეს კი პირდაპირ დამოკიდებულია ხელფასების რაოდენობაზე. შესაბამისად, თუ გაზრდილია საშემოსავლო გადასახადი, გაზრდილი უნდა იყოს ხელფასი. პირობას გაძლევთ, დავაზუსტებ“, – განაცხადა ხადურმა. (ნიუპოსტი)

## საკრებულოებში არჩეული მაჟორიტარების სტატისტიკა




წინასწარი მონაცემებით, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ასარჩევი 1049 მაჟორიტარული მანდატიდან 811 დეპუტატი გაიყვანა, რაც საერთო რაოდენობის 77,31%-ს შეადგენს.

მეორე ადგილზე გავიდნენ საინიციატივო ჯგუფის კანდიდატები, რომელთა რაოდენობა 128 დეპუტატი – 12,20%-ია. მესამე ადგილზეა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 64 მაჟორიტარი (6,1%).

პირველადი მონაცემებით, შემდეგი ადგილები ასე ნაწილდება: კოალიცია „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“ 28 მაჟორიტარი (2,67%), არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) – 4 მაჟორიტარი (0,38%), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 3 მაჟორიტარი (0,29%), „ქართული პარტია“ – 3 მაჟორიტარი (0,29%), საქართველოს ძალოვან ვეტერანთა მოძრაობა – 2 მაჟორიტარი (0,19%), „ლეიბორისტული პარტია“ – 1 მაჟორიტარი (0,1%), ქდპ – 1 მაჟორიტარი (0,1%) და სხვა – 4 მაჟორიტარი (0,38%). (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ძალიან უნდოდათ მათ კანდიდატს გაემარჯვა, მაგრამ გაყალბება არ უკადრებიათ“



საბურთალოს მაჟორიტარობის გამარჯვებულმა კანდიდატმა ალეკო ელისაშვილმა თვითმმართველობის არჩევნები შეაფასა. მისი განცხადებით, არჩევნები ნორმალურ პირობებში, სერიოზული დარღვევების გარეშე ჩატარდა.

„წინასაარჩევნო გარემო იდეალური იყო, ერთადერთი სასაცილო ამბავი მოხდა, ჩემს პლაკატს გადააკრეს „ქართული ოცნებიდან“ ჩემი კონკურენტის პლაკატი, რაზეც პროტესტი გამოვხატე. მაშინვე მოვიდა „ქართული ოცნების“ შტაბის უფროსი, მოიხადეს ბოდიში და აღნიშნეს, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდებოდა. სხვა ინციდენტი არ ყოფილა და ტყუილებს ვერ მოვიგონებ.

არჩევნების პროცესიც ნორმალურად ჩატარდა. რამდენიმე მცირე ხარვეზი იყო, ისეც არ ყოფილა, რომ ხელები ჩამოუშვეს. ძალიან მონდომებულები იყვნენ, უნდოდათ მათ კანდიდატს გაემარჯვა და ძალ-ღონე არ დაუზოგავთ ამისთვის, მაგრამ გაყალბება არ უკადრებიათ. ძალიან დამწუხრებულები იყვნენ, რომ დამარცხდნენ. იმიტომ არ ვამბობ, რომ გავიმარჯვე, გაყალბება მართლა არ ყოფილა და რაც არ ყოფილა, ვერ მოვიგონებ“. – განაცხადა ელისაშვილმა. (რეპორტიორი)

## „ადგილი აქვს ხმების ტოტალურ გაყალბებას“



„თავისუფალი საქართველო“ ახალქალაქის მე-40 ოლქში არჩევნების დარღვევებით ჩატარების გამო განმეორებითი არჩევნების ჩატარებას ითხოვს.

„როგორც ადგილზე ოქმების გაცნობით გაირკვა, ადგილი აქვს ხმების ტოტალურ გაყალბებას. კერძოდ, ოქმების 75%-ში მიცემული ხმების რაოდენობა რამდენჯერმე აჭარბებს უბანზე მისულ ამომრჩეველთა რაოდენობას. რამდენიმე უბანზე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ხმების დათვლის პროცედურის დაწყებამდე კომისიის წევრებმა უბნიდან გამოაძევეს „თავისუფალი საქართველოს“ და „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენლები და არ დაასწრეს პროცესს. სოფლებში, პრაქტიკულად ყველა უბანზე იმყოფებოდნენ ადგილობრივი რწმუნებულები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ შსს-ს დავალებას ასრულებდნენ და ღიად ეწეოდნენ აგიტაციას. „თავისუფალი საქართველოს“ და „ახალი მემარჯვენეებისთვის“ მიცემული ორი ათასამდე ხმა საუბნო კომისიებმა ბათილად ცნეს (ეს ფაქტიც დადასტურებულია ოქმებით)“, – წერია პარტიის განცხადებაში.

„თავისუფალი საქართველო“ და „ახალი მემარჯვენეები“ ახალქალაქის საოლქო კომისიასთან საპროტესტო აქციის გამართვას აპირებენ. (რეპორტიორი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


*მეცხრე გვერდიდან*

ში შეიძლება, „დასტუკებული“ მატორით ჩამოგივიდეთ, მაგრამ გამოწერა იაფია შედარებით. ამ ბოლო დროს მანდაც აირია, შეიძლება, ერთი მანქანა გამოიწეროთ და სხვა ჩამოგივიდეთ. იყო ეგეთი შემთხვევები. აქ ერთი მერაბაა, გამოწერით ჩამოყვანილი მანქანები ჰყავს და ამბობს, პრობლემა არ აქვთო.

**— გამოწერით ჩამოყვანილი მანქანები აზერბაიჯანს გაჰყავს. 2005 წლის ზევით ხომ პრობლემა არ აქვთ?**



„დასაწყისში ვანო მერაბიშვილმა და უკრაინელებმა გააკეთეს აქაურობა. 20 მილიონი ჩაუდეს უკრაინის მხრიდან, მერე სიტუაცია რომ აირია, ვანომ წილი ამოიღო და წავიდა, როცა მიხვდა, რომ მთავრობა იცვლებოდა“

– ახლა ნახე მანდ როგორ არის: აზერები რატომღაც ერიდებიან მარჯვენა რულიანი მანქანების ყიდვას, იაპონიას კი ძირითადად ეგეთი მანქანები ჰყავს, თან იაპონიაზე აზერბაიჯანს დაწესებული აქვს, რომ 2011 წლის შემდეგ გამოშვებული მანქანა უნდა იყოს.

**— აბა, 2005 წლის ზემოთო?**

– ეგ ევროპული მანქანები. მე, პირადად, იაპონური მანქანა მირჩევნია ევროპულს, გარბენი ნაკლები აქვთ, რესურსი ნაკლებად აქვთ ამოწურული და მარჯვენა მხარეს საჭეც ჩემთვის პრობლემა არ არის. მერე, ეგენი ავტომატიკებია და უიოლესი მანქანებია.

**— კი, მაგრამ საჭის გადატანა ხომ შეიძლება?**

– კი შეიძლება, მაგრამ არ გირჩევთ, იქ მანქანას აწყობს კომპიუტერი და აქ ქარხნულად ვერავინ გადაგიტანთ, ხელით მოხსნილ „რულს“ ვერავინ ჩაგისვამთ მილიმეტრებში და არასოდეს არ იქნება სანდო. ყველა შემთხვევაში საშიშია გადატანილი საჭე. აზერბაიჯანში რულგადატანილი მანქანები აკრძალულია, მაგაზე დიდი შტრაფია; იაპონურს რომ ყიდულობენ, ჯერ მაგას კითხულობენ, რული გადატანილი ხომ არ არისო. ახლა ეგენი რომ მოდიან, ფული აქვთ და მარტო ევროპისთვის გამოშვებული იაპონურ მანქანებს ყიდულობენ, კარგი მანქანები მაგათ გაჰყავთ, მაგრამ ასეთები ცოტაა. მაგარია ალიევი! მარნეულის ხალხს რასაც ეტყვის, ხმას იმას აძლევენ, იმათი პრეზიდენტი დღესაც ალიევია, ამბობენ, რომ ნახევარ საქართველოში წილები აქვს. მე მგონი, ამასაც ეგენი ყიდულობენ, ამ ავტობაზრობას.

**— ვინ ყიდულობს, ალიევი?**

– ასე ამბობენ ალიევის ცოლის ფირმაო. ჯერჯერობით უკრაინელები სხედან აქ უფროსად და ისინი მართავენ, მაგრამ ეგეთი ხმა გამოვიდა, რომ აზერბაიჯანელების ხელში გადადის ეს ყველაფერიო.

**— ამ შემთხვევაში რამე შეიცვლება ბაზრობაზე?**

– გაძვირდება! დასაწყისში ვანო მერაბიშვილმა და უკრაინელებმა გააკეთეს აქაურობა. 20 მილიონი ჩაუდეს უკრაინის მხრიდან, მერე სიტუაცია რომ აირია, ვანომ წილი ამოიღო და წავიდა, როცა მიხვდა, რომ მთავრობა იცვლებოდა.

**— თუ მართლა გაიყიდა, ამ შემთხვევაში, ზოგადად, მანქანის ფასი გაძვირდება?**

– კარგი მანქანა გაძვირდება და ნაავარიები და ძველი უკვე აქაურებსაც აღარ ენდომებათ. ალიევისთვის ეს მომგებიანი ბიზნესი იქნება, ეს იქნება „პრამეჟუტოჩნი“ ბაზარი, აქედან გაიყვანს დიდძალ მანქანას. თან ეს ბაზრობა იყო ფულის „სტანოკი“ და თუ კარგად აამუშავეს, დიდი ფული გაკეთდება.

**— ამის მეპატრონეს ახლა რამდენი შესდის აქედან? რა თანხაზეა საუბარი?**

– ყველა მანქანიდან 30 ლარი, მინიმუმ! თუ გაიყიდა მანქანა, კიდევ ემატება, მერე „სტაიანკის“ ფული ცალკე, გახედე და თითო მანქანიდან ეს ფული დაიანგარიშე. აქ რომ დგანან მანქანები, ზოგს გადასახდელი აქვს 200, 500, 700 ლარი, იმდენი ხანი დგანან უკვე აქ. ბიჭებმა ჭკუა იხმარეს და, რომ ნახეს, რა სიტუაცია იყო, ხელი დაიცალეს და კაპიკებად გაყიდეს. აქეთ აღარ მოვიხედავთო და წავიდნენ. აქ იმდენს ჰქონდა ოფისები, ვერ დათვლიდით, გაყიდეს. აზერები მანქანებს რომ იყიდდნენ, ჩამოივლიდნენ და აქაურ აზერბაიჯანელებს მიჰყიდდნენ მერე. შენ წარმოიდგინე, აზერბაიჯანელებს ამერიკიდან ჩამოყვანილი მანქანებიც არ უნდათ, არ ენდობიან, მხოლოდ ევროპული.



„მაგარია ალიევი! მარნეულის ხალხს რასაც ეტყვის, ხმას იმას აძლევენ, იმათი პრეზიდენტი დღესაც ალიევია, ნახევარ საქართველოში წილები აქვს“

ამერიკიდან ერთი პერიოდი სულ „დამხრჩვალი“, წყალდიდობაში მოყოლილი მანქანები შემოდიოდა რუსეთში და ძალიან ბევრმა იზარალა. ერთი ისტორია ვიცი, მაშინ მე მოსკოვში ვცხოვრობდი, ხუთი წლის წინანდელ ამბავს გეუბნები. ახალგაზრდა გოგომ იყიდა „ემელის“ ჯიპი. აჩემებული ჰქონდა და იყიდა, სამაგიეროდ ბინა ჩადო ამ მანქანაში. იქ როგორ არის, იცი? წარმოიდგინე ასეთი უზარმაზარი ბაზრობა და შიგნით „პლატნია“, მაგრამ გარედან „კრუგომ“ დგებიან უფასო გადამყიდველები და იმ საცოდავმა იქ იყიდა, განსხვავება 7000 დოლარი იყო. მოკლედ, ევროპული მანქანა იყო და „დამხრჩვალი“ აღმოჩნდა! მერე გასკდა ამბავი: ეგენი შემოჰყავდათ ბალტიისპირეთში ბორანით, იქ აკეთებდნენ ისე, რომ რამდენიმე დღე ევლო და მერე ისე ითიშებოდა „დატჩიკები“ და მატორი, რომ მამა ღმერთი ვერ აამუშავებდა. კომპიუტერი ეთიშებათ და მასეთი მანქანების გამსაღებლები ყიდიან მანქანას და ეგრევე გარბიან.

ეგეთი ამბები ხანდახან აქაც ხდება ხოლმე, მაგრამ მასეთი მანქანების შემოწმება შეგიძლიათ კომპიუტერით, გრიფს ამოიწერთ, იმით შეხვალთ კომპიუტერში და ამოგიყრით მასეთ მანქანებს, თუმცა მანდაც შეიძლება, შემოგატყუონ. ისე, ამხელა ბაზრობაა და ხელისუფლებამ მიხედოს, ცოდვაა სხვის ხელში თუ ჩავარდა, მართლა ცოდვაა.

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სომხეთის პრეზიდენტი საქართველოს ეწვევა



პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, 18-19 ივნისს სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, სერჟ სარგსიანის ოფიციალური ვიზიტი გაიმართება. დახვედრის ოფიციალური ცერემონია საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში გაიმართება. ვიზიტის ფარგლებში სერჟ სარგსიანი შეხვდება საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. სარგსიანი საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალს გვირგვინით შეამკობს. ის ასევე დაესწრება საიათნოვას დაბადების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ გალა-კონცერტს. (რეპორტიორი)

## თინა ხიდაშელი ბოდიშს იხდის



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი სოციალური ქსელის მეშვეობით შემდეგი სახის სტატუსს აქვეყნებს:

1. „მაესტროს“ ეთერში, ალბათ, ზედმეტად გავბრაზდი, ვიცი, რომ როდესაც ეთერში ხარ, ემოციას არ უნდა მისცე გასაქანი. ეს ვიცი, მაგრამ ხანდახან არ გამომდის. მავიწყდება, რომ ჟურნალისტს არ ვესაუბრები, ვესაუბრები მაყურებელს, მოსახლეობას და ამიტომ ბოდიშს ვიხდი.

2. გავბრაზდი, იმიტომ რომ კითხვამ გამაოცა.

3. გამაოცა იმიტომ, რომ მგონია, მარტო ჩვენ კი არა, ყველა უნდა ზეიმობდეს ამ არჩევნებს, მის შედეგებს, ყველა, განურჩევლად იმისა, ვის მივეცით ხმა, ან საერთოდ ვინმეს მივეცით თუ არა.

4. ზეიმის მიზეზი, სიამაყის მიზეზი, აღტაცების საფუძველი და ხანდახან ხელისუფლება რომ შეიძლება შეაქო იმისთვის, რაც ისედაც უნდა ხდებოდეს და გასაკვირი არ უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, არასოდეს ხდებოდა, სიახლეა და თანაც ცალსახად ჩანს დამოკიდებულება.

ეს მონაცემი ცესკოს გვერდზე დევს ამ წუთს და მგონია, რომ ძალიან მაგარია. ამ არჩევნებში სახელმწიფოდ რომ ვიქეცით, დემოკრატია ორ ფეხზე რომ მყარად დადგა და კიდევ ბევრი რამ, რის გამოც ერთმანეთს შედეგები უნდა მივულოცოთ, საუკეთესოდ ჩანს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## ოქრუაშვილმა მშობლიურ სოფელ ტყვიავში არჩევნები წააგო

ტყვიავის საჯარო სკოლის შენობაში განთავსებულ ორივე უბანზე ირაკლი ოქრუაშვილის „ქართულმა პარტიამ“ და მისმა კანდიდატებმა არჩევნები წააგეს. იმ უბანზეც კი, სადაც ტყვიაველები ოქრუაშვილის მოგებას ფიქრობდნენ, „ქართულმა პარტიამ“ 35 ხმით წააგო.

„გიგუანთ უბნის“ მონაცემების მიხედვით, პროპორციული სიით „ქართული ოცნება“ – 263; „ქართული პარტია“ – 228. ეს ის უბანია, სადაც ოქრუაშვილი ცხოვრობს. აქ 1145 ამომრჩევლიდან უბანზე 567 ამომრჩეველი მივიდა.

რაც შეეხება „ქარელაანთ უბნის“ მონაცემებს, იქ ოქრუაშვილის მოგებას თავიდანვე არც ვარაუდობდნენ და სხვაობა ბევრად მეტია. 263 ხმა „ქართულ ოცნებას“, ხოლო „ქართულ პარტიას“ – 228. ამ უბანზე კი საერთო ამომრჩევლის რაოდენობა 1120.

ჯამში, პროპორციული სიით, ტყვიავში „ქართულ პარტიამ“ 450 ხმა მიიღო, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ – 522 ხმა.

რაც შეეხება რაიონის გამგებლობის კანდიდატების მონაცემებს, ჯამურად ტყვიავში „ქართული პარტიის“ წარმომადგენელმა ბონდო ვათიაშვილმა აიღო 429 ხმა, ხოლო „ქართული ოცნების“ კანდიდატმა დავით ონიაშვილმა – 559 ხმა. (ნიუპოსტი)

## შსს-მ ყაჩაღობის ფაქტი გახსნა




შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მეექვსე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული, წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი ჯონი გ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2014 წლის 27 მაისს თბილისში, გლდანის რაიონში, ნიღბიანი ჯონი გ. ყაჩაღურად თავს დაესხა „ლიბერთი ბანკის“ სერვისცენტრს, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით დიდი ოდენობით თანხა – 4499,30 ლარი, 1300 აშშ დოლარი და 600 ევრო გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 65 საბრძოლო ვაზნა შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცებად ამოიღო.

სამართალდამცველებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჯონი გ. 15 ივნისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მაშინ დააკავეს, როცა ის მინსკიდან თბილისში ჩამოფრინდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ეკონომიკის სამინისტრო ოჯახს ბაჩო ახალაიას წართმეულ სახლს არ უბრუნებს

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რეალური რეიტინგი არის 6 პროცენტი. კი, ბატონო, შესაძლოა, მართლაც ასეა, მაგრამ სააკაშვილის ბანდამ, ფაქტობრივად, 22,31 პროცენტი გაიფორმა.

რატომ მოხდა, რომ 12 თვითმმართველი ქალაქიდან 8-ში მერების ასარჩევად მეორე ტური უნდა გაიმართოს, ხოლო 59 მუნიციპალიტეტიდან 15-ში ასევე მეორე ტური გამოავლენს გამარჯვებულ გამგებლებს? რატომ ვერ დაიკავეს თბილისსა და ბათუმში ხელისუფლების ფავორიტებმა მერის თანამდებობები პირველივე ტურში? რა კულუარული დაპირისპირებები ახლდა ამ ყველაფერს?

**„ალიას“ ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი, უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძე ესაუბრება:**

– არჩევნებზე აჭარაში არ ყოფილა ჩარევა და დაშინება. ხელისუფლებამ ისიც კი არ გამოიყენა, რაც ელემენტარულია, „ქართულმა ოცნებამ“ ბათუმში პლაკატები გააკრა არჩევნებამდე ორი დღით ადრე, მანამდე აქაურობა მიჰქონდა მარტო „ნაციონალების“ პლაკატებს. აქ იბადება კითხვა: რა მოხდა, რატომ ვერ გაიყვანა ხელისუფლებამ თავისი ფავორიტი გიორგი ერმაკოვი? მე ამ ადამიანს პიროვნულად არაფერს ვერჩი, მაგრამ, როცა იცი, რომ ის იყო „ნაციონალების“ გამწარებული მომხრე, კანდიდატად მაინც არ უნდა წარმოადგინო. ამ ფაქტმა მოსახლეობაში შექმნა შთაბეჭდილება, რომ არჩევნებზე მისვლას აზრი არ ჰქონდა. სხვათა შორის, ბათუმში ბევრი კითხულობდა, ეს ერმაკოვი ვინ არისო? რა ხმებიც მან მიიღო, მხოლოდ ღარიბაშვილის დამსახურებაა, მისი ხათრით შემოხაზეს. ფაქტობრივად, უმაღლესი საბჭო და მურმან დუმბაძე ემიჯნებოდა ერმაკოვს. კულუარებში ლაპარაკობენ იმასაც, რომ ერმაკოვის მიზანია არჩილ ხაბაძის ჩამოცილება. როგორც კი ეს ხაბაძის „სასტავმა“ გაიგო, ერმაკოვს ეგრევე დაუსვა საკრებულოს თავმჯდომარეედ ირაკლი ჭეიშვილი. მერი და საკრებულოს თავმჯდომარე ერთმანეთის გარეშე ვერაფერს გააკეთებენ.

**— მომავალ საკრებულოში თავმჯდომარე ირაკლი ჭეიშვილი იქნება?**

– „ოცნების“ სიაში პირველია და საკრებულოს თავმჯდომარედ დანიშნავენ. ეს ის ჭეიშვილია, რომლის შესახებაც ირაკლი ღარიბაშვილს შეკითხვა დაუსვეს პრესკონფერენციაზე და თქვა, „ნაციონალი“ არ არისო. ჭეიშვილი არის ხაბაძის კადრი, რომელიც გააკონტროლებს ერმაკოვს. თუმცა ეს უკანასკნელი ჭეიშვილზეც და ხაბაძეზეც ძლიერია, სიტუაციიდან მშრალად გამოსვლაში ბადალი არ ჰყავს.

**— მაშინ სიტუაცია ასე ლაგდება: ერმაკოვი წარმოადგინა ირაკლი ღარიბაშვილმა, არჩილ ხაბაძე აჭარის მთავრობის მეთაურად დანიშნა ბიძინა ივანიშვილმა. რა გამოდის, ღარიბაშვილი ივანიშვილის ფავორიტს ძირავს?**

– ჯერ ერთი, როცა ივანიშვილმა ხაბაძე დანიშნა, იმის შემდეგ დიდი დრო გავიდა, კაცმა პრეზიდენტს დაარტყა, იმედი გამიცრუაო და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ვინ არის? მეორე – ხაბაძე არ არის პოლიტიკური ფიგურა და მისი სისუსტით ძალიან ბევრი სარგებლობს. არავინ დაობს იმაზე, რომ ეს კაცი პატიოსანია, მაგრამ მარტო პატიოსნება არ ჭრის.

**— თუ ერმაკოვს ხაბაძის ჩამოშორება უნდა, მაშინ „დაბრო“ აქვს მიცემული ღარიბაშვილისგან? ლოგიკურად ასე გამოდის.**

– შესაძლებელია, „დაბრო“ ჰქონდეს მიცემული, რადგან ხაბაძე თავად ვერ გრძნობს, რომ განცხადება დაწეროს და წავიდეს. ჩემი ინფორმაციით, ღარიბაშვილთან ამაზე იყო საუბარი ჯერ კიდევ არჩევნებამდე, ერთ-ერთი დეპარტამენტის თავმჯდომარემ პირდაპირ უთხრა ირაკლის, ხაბაძე სუსტია, ამას არ აკეთებს, იმას არ აკეთებსო. ღარიბაშვილი მაშინ განრისხებულა, მთავრობის რიგითი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ამ შეხვედრაზე საერთოდ როგორ მოხვდა და ვინ არის, ხაბაძეზე რა უფლებით ლაპარაკობსო? მეტიც, ღარიბაშვილმა პირდაპირ უთხრა მურმან დუმბაძეს: გაქვთ ფაქტები, რაც ადასტურებს ხაბაძის კორუფციაში მონაწილეობასო? ვერავინ მსგავსი ფაქტი ვერ წარუდგინა, მაგრამ ღარიბაშვილი მაინც უკმაყოფილოა იმით, რომ რეგიონს ძლიერი ხელი არ მართავს.

თუ სიტუაციას კარგად დავაკვირდებით, კარგად დავინახავთ, რომ ღარიბაშვილს მოუწევს არა მხოლოდ გარეული მტრების მოგერიება, არამედ შინაური მტრებისაც. არ მინდა, სხვანაირად გამომივიდეს, მაგრამ, როცა შენი პარტიის დეპუტატი არ გამოდის და მხარს არ გიჭერს არჩევნებში, ეს რას ნიშნავს? არ ვიცი, შეიძლება დუმბაძეს უთხრეს, საერთოდ არ გამოჩნდე ხალხშიო, მაგრამ მაშინ ასეთი დეპუტატი რად გინდა? უმაღლესი საბჭო საერთოდ დადუმებული იყო.



**— „ნაციონალები“ ამბობენ, შემოდგომაზე უკმაყოფილო ხალხი ქუჩის აქციებს იწყებს და ჩვენც შევუერთდებითო. მე მგონი, ესენი წერას არიან ატანილები.**

– ეგენი არ გაჩერდებიან, თუ ხელისუფლება არ გააქტიურდება. უნდა გამოქვეყნდეს ყველა დოკუმენტი, ყველა მასალა „ნაციონალების“ დანაშაულის შესახებ. სამი დღის წინ ჩემთან მოვიდნენ ნავთლუღის სპეცოპერაციის დროს ჩაცხრილული ბიჭების ოჯახების წევრები. „ნაციონალებმა“ სურათი ისე დახატეს, თითქოს ესენი მიდიოდნენ რუსთავში, რათა გაეთავისუფლებინათ ციხიდან პატიმრები. სინამდვილეში ეს ბიჭები იყვნენ წალკაში, ბათუმში წამოსასვლელი ფული არ ჰქონდათ, ერთ-ერთმა თავის სიდედრს სთხოვა, მან მისცა და თბილისის გავლით მოდიოდნენ ბათუმში. როდესაც მიწაზე დაყარეს, ერთს ტელეფონი გაუვარდა ხელიდან, ცოლს ელაპარაკებოდა, ნუ მომკლავთ, სამი შვილი მყავსო. ეს ნათქვამი ტელეფონში გაისმა. მიუხედავად ამისა, 14 ტყვია მაინც დაახალეს. იცი, მოკლულების ოჯახები სად არიან? რუსული ბატალიონი რომ იდგა, იმ ტერიტორიაზე შესახლდნენ და ბავშვებს რომ ნაყინი უყიდონ, იმის ფული არ აქვთ. ამ დროს თეა წულუკიანი გამოდის და ამბობს, გამოიჩინეთ სიმშვიდე, აგრესია არ გამოავლინოთ დაზარალებულმა ოჯახებმაო. აი, ეს არის შინაური მტერი, წულუკიანმა იცის, რამდენი ოჯახი ჩაცხრილა და გაამწარა „ნაციონალურმა მოძრაობამ“? აი, ამიტომ მიიღო „ოცნებამ“ დაბალი პროცენტები. კარგია, რაა, შენ არ ინერვიულო, აგრესია არ გამოავლინო, რათა წულუკიანს მშვიდად ეძინოს და ამ დროს არ არის გამორიცხული, ბაჩო ახალაია ფრთიან ანგელოზად მონათლონ. თუ ასე გაგრძელდება, რა თქმა უნდა, „ნაციონალები“ შეეცდებიან, ხალხი გამოიყვანონ და სიტუაცია არიონ. ფულს დაარიგებენ, ხომ ვიცით, რომ დიდი ფული აქვთ წაღებული? მე ვიცნობ ერთ ოჯახს, რომელსაც წინა ხელისუფლებამ სახლი ჩამოართვა და იცი, ვინ ცხოვრობდა იმ სახლში? ბაჩო ახალაია, როცა ის ბათუმში ჩამოდიოდა. ადამიანები დღეს ითხოვენ, დაგვიბრუნეთ ჩვენი სახლიო, არ უბრუნებენ, თურმე ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა აყვანილი. ახლა აუხსნან ამ ოჯახს, რა მნიშვნელობა აქვს, ბაჩო ახალაია წაართმევს ქონებას თუ ეკონომიკის სამინისტრო? არსებობს ზარალი, რის აღდგენასაც დიდი დრო და თანხები არ სჭირდება, უბრალოდ, პოლიტიკური ნების საკითხია. ასეთი ბევრია და როცა შენ „ნაციონალებს“ პასუხს არ სთხოვ, ამიტომაც გაჯდებიან თავზე და ნუ გაგიკვირდება, თუ ჯოჯოხეთის მოწყობასაც დაგიპირებენ. თავდასხმა რომ საუკეთესო თავდაცვაა, მე მგონი, ამის შესახებ ხელისუფლებამ არ იცის. ჩვენ რომ ნორმალური ქვეყანა ვიყოთ, „ნაცმოძრაობა“ უკვე იქნებოდა გამოცხადებული კრიმინალურ ორგანიზაციად და აიკრძალებოდა.

**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისის საკრებულოს სავარაუდო შემადგენლობა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით, თბილისის საკრებულოში პროპორციული საარჩევნო სისტემით მოსახვედრად საჭირო 4%-იანი ბარიერი ოთხმა საარჩევნო სუბიექტმა გადალახა. ბლოკი „ქართული ოცნება“ – 150 052 ხმა (45.96%); ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 85326 ხმა (26.13%); „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“ – 33794 ხმა (10.35%); „დავით თარხან მოურავი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 20793 ხმა (6.37%).

წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით თბილისის საკრებულოში მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდება: „ქართული ოცნება“ – 13 მანდატი; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 8 მანდატი; „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“ – 3 მანდატი; „დავით თარხან მოურავი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 1 მანდატი.

მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში 25 მანდატიდან, წინასწარი მონაცემებით, 24 მანდატი ბლოკმა „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა, ხოლო – ერთი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილმა კანდიდატმა ალექსანდრე ელისაშვილმა.

სულ თბილისის საკრებულოში 50 ადგილია, საიდანაც 37 ადგილი (74%) ერგო „ქართულ ოცნებას“, 8 (16%) „ნაციონალურ მოძრაობას“, 3 (6%) ნინო ბურჯანაძე – ერთიან ოპოზიციას“, ხოლო ერთი „დავით თარხან მოურავი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“.

წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით თბილისის საკრებულოს სავარაუდო შემადგენლობა ასე გამოიყურება.

1. ფავლენიშვილი ირაკლი – „ქართული ოცნება“ (პარტიული სია);
2. ალიბეგაშვილი გიორგი – „ქართული ოცნება“ (პარტიული სია);
3. ტყემალაძე გიორგი – „ქართული ოცნება“ (პარტიული სია);
4. მალაღურაძე ნუგზარი – „ქართული ოცნება“ (პარტიული სია);
5. კობახიძე თევდორე – „ქართული ოცნება“ (პარტიული სია);
6. გვილავა ირაკლი – „ქართული ოცნება“ (პარტიული სია);
7. დავითაძე ავთანდილ – „ქართული ოცნება“ (პარტიული სია);
8. ტალიაშვილი თამარ – „ქართული ოცნება“ (პარტიული სია);
9. სამნიძე ხათუნა – „ქართული ოცნება“ (პარტიული სია);



10. მჭედლიშვილი მალხაზ – „ქართული ოცნება“ (პარტიული სია);
11. იონათამიშვილი რატი – „ქართული ოცნება“ (პარტიული სია);
12. ქარცივაძე ბესიკ – „ქართული ოცნება“ (პარტიული სია);
13. ახვლედიანი გიორგი“ – „ქართული ოცნება“ (პარტიული სია);
14. გოგუაძე ნინო – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
15. ზუმბაძე გულო – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
16. მუსხელიშვილი გიორგი – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
17. ძნელაძე ვლადიმერ – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
18. ჯოხაძე ქეთევან – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
19. ზურაბიშვილი დავით – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
20. ჯახველაძე ლია – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
21. ჯიშკარიანი ილია – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
22. დარახველიძე ლევანი – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
23. ბაბუნაშვილი გოჩა – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
24. ბერაძე რამინა – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
25. ჯიშკარიანი ჯაბა – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
26. შურღაია თარაშ – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
27. ნაცვლიშვილი ბექა – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
28. აბუსერიძე ირაკლი – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
29. სამუშია ჯაბა – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
30. ჭელიძე დავით – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
31. კოლელიშვილი ზაზა – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
32. მაკასარაშვილი ია – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
33. შელია მურთაზი – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
34. კობალაძე კობა – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
35. ნეფარიძე ზურაბ – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
36. ბუხრაშვილი შორენა – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი;)
37. გოგლიძე გივი – „ქართული ოცნება“ (მაჟორიტარი);
38. უგრეხელიძე სევდია – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (პარტიული სია);
39. აბესაძე ირაკლი – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (პარტიული სია);
40. ახვლედიანი მამუკა – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (პარტიული სია);
41. შოშიაშვილი თამაზი – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (პარტიული სია);
42. ნადირაძე ირაკლი – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (პარტიული სია);
43. გრიგალაშვილი თეიმურაზ – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (პარტიული სია);
44. მხეიძე ლევანი – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (პარტიული სია);
45. დათუკიშვილი მარინა – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (პარტიული სია);
46. ვეკუა ზაზა – „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“ (პარტიული სია);
47. ოგბაიძე შალვა – „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“ (პარტიული სია);
48. ცინცაბაძე თამარ – „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“ (პარტიული სია);
49. მანჯავიძე იოსებ – „დავით თარხან მოურავი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ (პარტიული სია);
50. ელისაშვილი ალექსანდრე – საინიციატივო ჯგუფი (მაჟორიტარი). (ნიუპოსტი)

დავიწყოთ იქიდან, რომ, როცა ამ ქვეყანაში ხალხი სამართალს ვერ პოულობს, იმიტომ აქვს „ოცნებას“ სახვეწრად საქმე და ეტყობა, ხელისუფლებას გაუვიდა ყოფნის ვადა. რას ვგულისხმობ? იმას, რაც „ალიასა“ და „ფრესკო თრეიდ ჰაუსის“ ამბავთან დაკავშირებით ხდება, როცა ცამდე მართალს (და ეს შესანიშნავად იცის თბილისის საქალაქო სასამართლომ), გეუბნებიან, ტყუიო. ამას სახელი არ აქვს, სასამართლო რას ვირეშმაკობს. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა 2014 წლის 12 მარტს, წესით, საჩივრის შეტანის ვადა იწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან. „ალია ჰოლდინგის“ ადვოკატს ირაკლი ცნობილაძეს საჩივარი უნდა ჩაებარებინა სააპელაციო სასამართლოსთვის 1 აპრილიდან 11 აპრილამდე, მაგრამ, კანონის მიხედვით, ამისთვის საჭიროა, საქალაქო სასამართლომ გასცეს გადაწყვეტილება უნდა გაემზადებინა 1-ლი აპრილიდან 11 აპრილამდე, მაგრამ, ახლა უკვე დიდი ეჭვი გვაქვს, რომ სასამართლომ შეგნებულად არ დაწერა გადაწყვეტილება აღნიშნულ ვადაში, რითაც, ასევე შეგნებულად, დაარღვია კანონი. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვეტილება დაგვიანებით გადაეცა ადვოკატს, გადაწყვეტილებაში კი შავით თეთრზე წერია, რომ გასაჩივრება უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ლივით უნდა შევძახო, ოეეე, სასამართლო და თემიდავ, ოეეე! ბნელა? რა ხდება? თუ საქალაქო სასამართლო აგვიანებს დოკუმენტის გაცემას, არ შეიძლება, ცნობის სახით ემცნოს სააპელაციოს, რომ მათი ბრალით მოხდა გადაცდომა? ჩვენ რა შუაში ვართ? ალბათ, ეს შურისძიებაა „ალიას“ წინააღმდეგ... და ამის შემდეგ რა ვქნათ, უზენაეს სასამართლოს მივმართოთ, სადაც „ნაციონა-რადად, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ველაპარაკებოდი ან ავტომოპასუხეს, ან დაქოქილ თოჯინას, რომელსაც მხოლოდ ერთი ფრაზა ჰქონდა გავარჯიშებული. თუმცა, სჯობია, ამაში თავადვე დარწმუნდეთ:

**— თქვენ უამრავჯერ დაგირეკათ ჩვენმა ადვოკატმა და პასუხი მხოლოდ ერთი იყო: რომ მზად არ არის გადაწყვეტილება. რატომ დააგვიანა მოსამართლემ გადაწყვეტილებაზე ხელის**

# ე.წ მოსამართლე ურთმელიძემ „ალიას“ საქმეზე საპროცესო ნორმები დაარღვია და დამნაშავედ ისევ „ალია“ გამოიყვანა

უფრო სწორად, ერთი სახელი აქვს: ვირეშმაკობა და გოთვერნობა. ხელისუფლების საყურადღებოდა ვიმეორებთ: სასამართლოს მიერ საზოგადოების უსამართლო დატერორება დღესაც მიმდინარეობს, ბატონებო, და ეგება, ყურები გამოგეფხიკათ? ოთარაანთ ქვრივი ერთი ქათმის გულისთვის იმპერატორამდე მივიდა და ჩვენ ვისთან მივიდეთ? შეგახსენებთ, რომ „ფრესკოში“ ნაყიდი აყროლებული ქათამი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ 6500 ლარად დაგვისვა. ეს ის ქათამია, თავად „ფრესკოს“ შეწუხებული და დაბნეული თანამშრომელი რომ მეუბნებოდა, აქოთებული კი იყო, მაგრამ რა გიყოთო. ამის შემდეგ „ალიამ“ გადაწყვიტა, ყველა წესის დაცვით, სარჩელი შეეტანა სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, უცებ მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა და „ალიას“ მოუვიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რის მიხედვითაც გვეცნობა, რომ ჩვენი საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგანაც „საჩივრის წარდგინების ვადა დაირღვა და დაუბრუნდეს „ალია ჰოლდინგს“ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 2014 წლის 28 აპრილს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა“.

ახლა მოგიყვებით, სააპელაციო



გადაწყვეტილება. მაგრამ საქალაქო სასამართლომ არაერთგზის განაცხადა, გადაწყვეტილება არ არის დაწერილი და მოსამართლე ურთმელიძის მიერ ხელმოწერილიო. ცნობილაძის თქმით, ის პერმანენტულად ურეკავდა მოსამართლის თანაშემწეს ნათია გველესიანს და ეკითხებოდა, რატომ გვიანდებოდა გადაწყვეტილების გადმოცემა. ამის დასადასტურებლად ცნობილაძე მზადაა, ამოიღოს სატელეფონო ზარების მონაცემები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წესით და რიგით, სასამართლოს ჩაბარებიდან 14 დღეშიო. ეს იყო 28 აპრილი, ამის შემდეგ ადვოკატმა საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ აქ ხდება ძალიან საინტერესო ამბავი: სააპელაციო სასამართლო არ ითვალისწინებს საქალაქო სასამართლოს მიერ დაშვებულ ხარვეზს და კანონდარღვევას და, იმის ნაცვლად, რომ აქეთ ბოდიში მოიხადოს, რედაქციას წერილს გვიგზავნის: მორჩა კინო, თქვენი საქმე წაგებულია, ვადები თქვენ დაარღვიეთო.

აქ ვერ ვითმენ და თინა ხიდაშელი“ კუბლაშვილი „განისვენებს“ და რომელმაც ასევე „ნაციონალების“ და სააკაშვილის მეხოტბე ოთარ კობერიძის გამო 55 000-მდე ლარი უკვე გადაგვახდევინა? თუ პირდაპირ იმ აქოთებული ქათმით სტრასბურგში წავიდეთ? შეგახსენებთ, ეს ის კუბლაშვილია, ვისი გადაყენებაც სრულიად იოლად შეეძლო ახალ ხელისუფლებას და ეს არ გააკეთა. როდემდე უნდა აზოგინოთ ეს სუბიექტი, კიდევ რამდენი ცოდვა უნდა დაგროვდეს კუბლაშვილს გამო? მაგრამ ხელისუფლება ასე რომ მოქცეულიყო, მაშინ კოჰაბიტაციას რა ეშველებოდა?

16 ივნისს „ალია ჰოლდინგმა“ განცხადება შეიტანა საქალაქო სასამართლოში, სადაც ვითხოვთ, აგვიხსნას სასამართლომ, მოტივაცია და ქმედების არსი.

სანამ სასამართლოში მათთვის შესაფერის ტექსტზე მუშაობენ, გადავწყვიტეთ, დავკავშირებოდით მოსამართლე თამაზ ურთმელიძის თანაშემწე ნათია გველესიანს, რომელსაც მუდმივად უკავშირდებოდა ჩვენი ადვოკატი და საქმის მსვლელობაზე ეკითხებოდა. წინასწარ გეტყვით, რომ ამ საუბრიდან, მე პი-

**მოწერა?**

– მაგასთან დაკავშირებით მე გავესაუბრები მხოლოდ თქვენს წარმომადგენელს. ჟურნალისტთან ამ საქმის გამო ვერ დავილაპარაკებ და ვერ მოგაწვდით ინფორმაციას.

**— რას ნიშნავს, ჟურნალისტს ვერ დაელაპარაკებით?**

– ანუ წარმომადგენელს მივაწვდი ინფორმაციას.

**— ჩათვალეთ, რომ მე ვარ წარმომადგენელი, გიმეორებთ: რა მიზეზით დაირღვა ჩვენთან მიმართებაში კანონით განსაზღვრული ვადა და სასამართლოს გამო რატომ გადმოგვეცა დაგვიანებული დადგენილება?**

– ამასთან დაკავშირებით თქვენს წარმომადგენელს დაწერილი აქვს განცხადება და წერილობით გაცნობებთ.

**— მომისმინეთ, გენაცვალე, ასე რომ მიშორებთ თავიდან, თქვენ ვალდებული ხართ, მიპასუხოთ.**

– თქვენმა წარმომადგენელმა...

**— მიდასტურებთ, რომ ჩვენი წარმომადგენელი, ირაკლია ცნობილაძე თქვენ მუდმივად გიკავშირდებოდათ და მუდმივად იშორებდით მასაც თავიდან?**

– წერილობით გაგცემთ პასუხს.

**— სულ ასე უნდა იმეოროთ ეს სიტყვები? წარმომადგენელთან ერთად გაზეთიც ითხოვს თქვენგან კომენტარს.**

– ამას წარმომადგენელს ვეტყვი (წონასწორობას კარგავს), ჟურნალისტს ვერ გავესაუბრები ვერაფერზე, ამის უფლება არ მაქვს, თქვენს წარმომადგენელს...

**»» თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## „ისე ნუ იზამთ, რომ ნატურში გადავიდე ოჯახებით მოკითხვაზე!“

„არასაპარლამენტო ოპოზიციის“, მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ნინო ბორჩხაძე, სოციალურ ქსელში შემდეგი შინაარსის პოსტს აქვეყნებს: „ძალიან გთხოვთ, აი, ძალიან, იმ ხალხს, ვინც ენას ილესავს ჩემი „ნაციონალობის“ თაობაზე, ისე ნუ იზამთ, რომ ნატურში გადავიდე ოჯახებით მოკითხვაზე. უკანა ხედი დააყენეთ თქვენ-თქვენ ადგილზე და საკუთარი, უძველესი პროფესიის, უახლოესი ნათესავების მოვლით დაკავდით, სანამ ზარატუსტრას ვუწევ ანგარიშს. უკანასკნელი გაფრთხილებაა, ჩათვალეთ“. – წერს ნინო ბორჩხაძე. (რეპორტიორი)

## იაპონია საქართველოს 5 მილიონს გამოუყოფს



საქართველო იაპონიისგან არასაპროექტო საგრანტო დახმარების სახით 5 მილიონ დოლარს მიიღებს. როგორც იაპონიის საელჩოში აცხადებენ, საგრანტო დახმარება გამიზნულია სამედიცინო, სოციალური დახმარების აღჭურვილობის, ასევე, სხვა მსგავსი აღჭურვილობისა და მომსახურების შესაძენად.

იაპონიამ საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით განახორციელა ოფიციალური განვითარების დახმარების ფარგლებში სხვადასხვა მიმართულების პროექტები საგრანტო დახმარების, ტექნიკური თანამშრომლობისა და ოფიციალური განვითარების დახმარების სესხის სახით. იაპონიის დახმარებამ საქართველოს მიმართ შეადგინა 369 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც მოიცავს ფართო სპექტრს ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობა და სოციალური სექტორი, კულტურა და ადამიანური რესურსების განვითარება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## წინასაარჩევნო მორატორიუმი შესაძლოა, მეორე ტურამდე გაგრძელდეს



შს მინისტრის განცხადებით, წინასაარჩევნოდ გამოცხადებული მორატორიუმი შესაძლოა, არჩევნების მეორე ტურამდე გაგრძელდეს. „არ ვიცი, ამ სიტუაციაში, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული. სავარაუდოდ, დაველოდებით მეორე ტურს, შესაძლოა, მორატორიუმი გაგრძელდეს“, – განაცხადა ალექსანდრე ჭიკაიძემ.

შს მინისტრი მარნეულის საარჩევნო ოლქში მომხდარ ფაქტსაც გამოეხმაურა: „გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო. თუმცა შედეგებზე წინასწარ საუბარი ნაადრევია. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დასკვნას ვერ გავაკეთებ, დაველოდოთ“, – განაცხადა ჭიკაიძემ. (ნიუპოსტი)

## რიკოთზე მოძრაობა აკრძალულია



რიკოთის გვირაბის დასავლეთი მხარე მთლიანად ჩაიკეტა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით: „თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 146-ე კმ-ზე (რიკოთის გვირაბის დასავლეთი მხარე) დიდი მოცულობის მიწისა და კლდის ჩამოშლის გამო, მთლიანად ჩაიკეტა გზის სავალი ნაწილი. რის გამოც, საავტომობილო გზის კმ136-კმ152 (ჩუმათელეთი-ხევი) მონაკვეთზე იკრძალება ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. ავტოტრანსპორტის მოძრაობა გადაერთვება გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის გზის გავლით, გარდა მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა“, – ნათქვამია დეპარტამენტის განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## რუსკა მაყაშვილის რჩეული 25 წლის სანდრო ნიჟარაძეა






რუსკა მაყაშვილის ოფიციალურ „ფეისბუქ“-გვერდზე საზღვარგარეთ გადაღებული ფოტოები ვრცელდება, სადაც მსახიობი შეყვარებულთან ერთად პოზირებს.

როგორც გაირკვა, რუსკა მაყაშვილის რჩეული 25 წლის სანდრო ნიჟარაძეა. სანდრო რაგბისტი გახლავთ. რუსკა შეყვარებულის თამაშს თურმე ხშირად გულშემატკივრობს.

წყვილი ერთ წელზე მეტია, რაც ერთმანეთს ხვდება, მაგრამ სიყვარულის აფიშირებას გაურბიან.

მათი სიყვარულის ამბავი მხოლოდ მეგობრებისთვის და ახლო წრისთვის არის ცნობილი.

*newposts.ge*

## ჯაბა ბოჯგუს დედა: „რა ვქნა, მოვკლა შვილი“?!



მომღერალ ჯაბა ბოჯგუას ამბავი მთელმა საქართველომ იცის, ის უკვე 6 წელია, კომატოზურ მდგომარეობაშია. მომღერალს მხოლოდ დედა დარჩა, რომელიც შვილს უვლის და სიცოცხლეს უხანგრძლივებს. ის უკიდურესად მძიმე პირობებში ახერხებს შვილის მოვლას.

მანანა გვასალია:

– ჩვენი მდგომარეობა არ იცვლება, დაზღვევა გვაქვს, მაგრამ ჯაბას მდგომარეობა არ ფინანსდება, რადგან ტომოგრაფია დაზღვევაში არ შედის. არც ოჯახის ექიმით მისარგებლია, რადგან საკაცით კლინიკაში ვერ მიმყავს, ოჯახში კი არავინ მოდის. წამლები მიჭირს, 10 დღის სამყოფს 6 თვეზე ვუნაწილებ. მაგრამ ამაზე დიდი პრობლემა მაქვს, მეშინია ბინიდან ბინაში გადაყვანის დროს ჯაბა არ დამეღუპოს. ასეთი ავამდყოფის ბინაში შეშვება არავის უნდა, ამ ნაქირავები ბინიდან რომ გაგვაგდონ, ჯაბას რეანიმობილით მივიყვან მთავრობის სახლის წინ. მეც დამეხმარეთ, დაუშვით გამონაკლისი და გამომიყავით ერთი ოთახი, რათა ჩემი შვილის გამოღვიძებას დაველოდო. რა ვქნა, მოვკლა შვილი? ხალხო, გამეცით პასუხი, რა უნდა გააკეთოს ჯაბა ბოჯგუას დედამ, რომელიც შვილის ავადმყოფობის გამო მუშაობას ვერ ახერხებს. ამ სახლიდან თუ გამიშვეს, გაზი უნდა გავუშვა და სამივე – მე, ჯაბა და 80 წლის დედაჩემი ერთად უნდა დავიღუპოთ, სხვა გამოსავალი არ მაქვს.

*aianews.ge*

## გივი სიხარულიძე: „დიდი ჯიპი თუ ჰყავს და დიდი ჭუჭუც აქვს, ისინი როგორ შევაფასოთ?!“



„ახალგაზრდა მწვანეების“ კამპანიამ – „დიდი ჯიპი = პატარა ჭუჭუ“ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ამ თემას გივი სიხარულიძე გამოეხმაურა, რომელმაც თავისი უკიდურესი უკმაყოფილება საფირმო ლანძღვა-გინებით გამოხატა.

– რა გავიგოთ ახლა, დიდი ჯიპი უპატარავებს იმ ჭუჭუს, თუ რას შვრება?! ან დიდი ჯიპი თუ ჰყავს და დიდი ჭუჭუც აქვს, ისინი როგორ შევაფასოთ?! ვისაც უნდა დაიგრძელოს, ყოველ დილით წყალი უნდა დაისხას, ან ცოლს შეალოცვინოს დილა-საღამოს, – გაიზარდე, ჩემო პატარა, გაიზარდე, გთხოვ... ეს ხუმრობით, ისე კი უკვე საგონებელში ვარ: ამ გაუბედურებულ ქვეყანაში, სადაც მარტო იმ კანონებს იღებენ, პრეზერვატივები თაფლიანი უნდა იყოს თუ უთაფლო, ასეთ ქვეყანაში რომ ვცხოვრობთ, ამის დარდი მკლავს. უკვე მთელი მსოფლიოსგან მასხრად აგდებული ქვეყანა ვართ. ისემც უქნიათ, რომ დიდი ჯიპებით კი არა, ტანკებითა და ვერტმფრენებით უვლიათ ქალაქში, – აცხადებს სიხარულიძე.

*kvirispalitra.ge*



## „მანიაკი“ გალაკტიონ ტაბიძის როლში

მსახიობი ლაშა კანკავა „ჩემი ცოლის დაქალებში“ თინა მახარაძის პერსონაჟთან – ანკასთან სექსის მოსურნე მანიაკის როლით გამოჩნდა.

ამჟამად ის რეალურ ფაქტებზე დაფუძნებულ მხატვრულ ფილმზე, „ექვთიმე თაყაიშვილზე“ მუშაობს, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძის როლში იქნება.

– შემოდგომაზე ერთ-ერთ პროექტზე ვმუშაობდი და წვერი მქონდა მოშვებული. ნიკამ ჩემი სურათი რომ ნახა, მითხრა, – გალაკტიონი შენ უნდა იყოო. ეს წინადადება ჩემთვის სიურპრიზი გახლდათ, – ამბობს კანკავა „გზასთან“ საუბრისას.

*pia.ge*

## ქართველი დიზაინერი მაიკლ ჯექსონის მამას შეხვდა



დიზაინერი ფატუნა ბუშიჰედი ქართველ მომხმარებელს დიდად არ ანებივრებს საკუთარი კოლექციით, მაგრამ მას ევროპასა და ამერიკაში ძალიან კარგად იცნობენ. ფატუნამ ჟურნალ „თბილისელებთან“ ისაუბრა.

– ეს იყო პრივატული ჩვენება, რომელიც მონაკოში, ერთ-ერთ ძალიან ცნობილ და პრესტიჟულ იახტაზე გაიმართა. მოსულ სტუმრებს შორის იყვნენ ჯო ჯექსონი, ლორენცო ქვინი. ამ ყველაფერს მსოფლიო პრესა აშუქებდა. „ფეშენ-ტივი“ იღებდა და აფიქსირებდა, – განაცხადა ფატუნა ბუშიჰედიმ.

*pia.ge*

## ნანუკა ჟორჟოლიანი დავით ნარმანიას ნახევრად შიშველ ფოტოს გამოეხმაურა: „მიშას ფოტოებზე ხომ არაფერს ვამბობ“





სოციალურ ქსელში, „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის დავით ნარმანიას სანაპიროზე გადაღებული ფოტო გავრცელდა. ფოტო, რომელზეც ნარმანია საზამთროს ჭრის, ნაციონალების მხარდამჭერების ნაწილმა გაიზიარა, რასაც სოციალურ ქსელში საერთო გალიზიანება მოჰყვა.

მართალია, ნანუკა ჟორჟოლიანს სურათი თავის კედელზე არ გამოუქვეყნებია, მაგრამ მერობის კანდიდატის დაცინვას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა:

– ჩემთვის ძალიან ჩვეულებრივი ფოტოა ნარმანია – სანაპიროზე. მართლა ჩვეულებრივი ფოტოა და ასეთი, ალბათ, ბევრს აქვს გადაღებული. ნუ, არაესთეტიკური ნამდვილად არის (სულ რომ ნარმანიასი არ ყოფილიყო). არ გავიზიარებ არასოდეს მსგავსს, მაგრამ მიკვირს იმ ადამიანების შფოთვა, რომლებიც იგივე წარმატებით აზიარებენ წინა ხელისუფლების ფოტოებს.

შეგახსენებთ, ვისაც არ გახსოვთ: ბენდუქიძე აუზზე, წიკლაურის სელფი აბაზანაში (ერთი თვე ეს ფოტო ყველას ჰქონდა გამოქვეყნებული), გიგი საკუთარ ცოლთან ერთად, მიშას ფოტოებზე ხომ არაფერს ვამბობ. აღარაფერს ვამბობ კეზერაშვილს ნანა ლეჟავამ გამოძიება რომ ჩაუტარა ფოტოზე, რომელიც საკუთარ ცოლთან ჰქონდა გადაღებული ცეკვის დროს. მაშინაც მარაზმი იყო, რაც ხდებოდა, ისტერიკა და გამოძიებები და ახლაც მარაზმია, რაც ხდება. მაგრამ მიკვირს, რომ გიკვირთ“, – წერს ჟორჟოლიანი

*reitingi.ge*

## სოფო საკაშვილის პირველი კომენტარი სტეფანეზე – „ყველაფერი ხდება“



„X ფაქტორის“ მორიგ კონცერტზე აუტსაიდერებად სოფო საკაშვილი და აკე და ანა დასახელდნენ. როგორც უკვე იცით, პროექტის ამ ეტაპზე აუტსაიდერების ბედს ჟიური წყვეტს. ის მონაწილე, რომელსაც სამი მენტორის ხმა ექნება, პროექტში რჩება, მეორე კი კონკურსს ტოვებს.

აუტსაიდერების შეფასება სტეფანემ დაიწყო: „სოფო საკაშვილის გამო მაყურებელს მინდა ვუთხრა, ბრავო! და მათ გასახარად ჩემს ხმას აკესა და ანას ვაძლევ“.

ეს ფრაზა მენტორისგან, რომელმაც სოფო საკაშვილი ორჯერ იხსნა პროექტის დატოვებისგან, გაუგებარი აღმოჩნდა. სტეფანეს საქციელმა შოკში ჩააგდო სხვა მენტორებიც. მხრებს იჩეჩდა თამთა გოდუაძე, გაოცებული იყო სოფო ტოროშელიძე, გიორგი გაბუნიამ სტეფანეს გადაწყვეტილება დაუწუნა და უთხრა, რომ რა მიზეზიც არ უნდა ჰქონოდა, „ბარტყის ბუდიდან გადაგდება“ მისი მხრიდან კარგი საქციელი არ იყო.

ბუნებრივია, სოფო ტოროშელიძემ თავისი ხმა აკესა და ანას მისცა. ხმები ორად გაიყო. მენტორთა თხოვნით სტეფანემ ბოლო მომენტში გადაწყვეტილება შეცვალა და სოფო პროექტში დარჩა.

სოფო საკაშვილი:

– ტელევიზორს თუ უყურეთ, მიხვდებოდით ჩემს რეაქციას. განსაკუთრებული რეაქცია არ მქონია. ეს მისი გადაწყვეტილება იყო და მე ვერაფერს შევცვლიდი. როცა პროექტში ხარ, ყველაფერს უნდა ელოდო, ან გავარდები ან დარჩები... კონცერტი რომ დამთავრდა, კულისებში ჩვეულებრივად ვსაუბრობდით რეპერტუარზე, რაც შემდეგ კონცერტზე უნდა ვიმღერო. ამდენად, ამით ჩემსა და სტეფანეს შორის ურთიერთობა არ გაფუჭებულა. ის არის მენტორი და თავად წყვეტს, როგორ მოიქცეს. რაიმეს ახსნის ვალდებულება ჩემს წინაშე არ აქვს.

*reitingi.ge*



შუახნის ქალი ექიმთან მივიდა:

– ექიმო, სტერილიზაციის გაკეთება მინდა.

– ჰო, მაგრამ ეს ძალიან სერიოზული გადაწყვეტილებაა, ოჯახთან გაიარეთ კონსულტაციები?

– კი, გავიარე – 17 თანახმაა, მხოლოდ ერთმა შეიკავა თავი!..

*****

ქალი დაქალთან წუწუნებს:

– ჩემი ქმარი ყოველდღე მცემს, ვერ გამიგია, რას მერჩის?!

– იქნებ, სახლი გაქვს ხოლმე დასალაგებელი?

– რას ამბობ?! სულ ცოცხი მიჭირავს, ვრეცხავ, ვხეხავ...

– იქნებ, კარგად არ აჭმევ?

– აბა, ეგ რამ გათქმევინა? სამზარეულოში ციბრუტივით ვტრიალებ, ხან რას ვამზადებ, ხან – რას, თან სულ ახალი პროდუქტით!

– აბა, იქნებ ბავშვები სწავლობენ ცუდად?

– არავითარ შემთხვევაში! ჩვენი შვილები პირველები არიან სკოლაში!

– მაშინ რა გითხრა, აღარ ვიცი... და ხომ არ ღალატობ?

– ჰო, ნუ მაგას თუ არ ჩავთვლით...

*****

– გაიგე, კოტე ალპინიზმის სექციიდან რომ გაუგდიათ?

– არა, არ ვიცოდი. რატომ?

– წარმოიდგინე, თურმე, ის სულელი მეექვსე სართულზე ლიფტით ადიოდა და ვიღაცამ დაინახა...

*****

ორი მამაკაცი საუბრობს:

– გენეტიკა, მეგობარო, მემკვიდრეობა – სისულელეა ეს ყველაფერი და მეტი არაფერი!

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჩემი დიდი ბაბუა ალკოჰოლიკი იყო, მამაჩემის მამაც ალკოჰოლს ეტანებოდა და მამაჩემიც სულ ლოთობდა. მე კი – არა!

– მართლა?!

– რა თქმა უნდა! მე ნარკომანი ვარ!..

*****



ტელეფონის ზარი. ყურმილი პატარა ბავშვმა აიღო:

– ალო, ვინ გნებავთ?

– მამიკო სახლშია?

– არა, აგარაკზე წავიდა.

– დასასვენებლად?

– არა, დედიკოსთან ერთად წავიდა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ადამიანს 90-მდე ზედმეტი ორგანო ჰქონია



აუცილებელი ორგანოების გარდა, თურმე, ადამიანის ორგანიზმში ასევე შეხვდებით ე.წ. რუდიმენტებს – იმ ორგანოების ნარჩენებს, რომლებმაც თავიანთი მნიშვნელობა ევოლუციის პროცესის შედეგად დაკარგეს და ასევე, ატავიზმებს – შორეულ წინაპრებთან დამაკავშირებელ ნიშნებს.

როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ადამიანის ორგანიზმში სულ დაახლოებით 90 ანატომიურ და ყოვლად გამოუსადეგარ დანამატს მაინც აღმოაჩენთ.

რაც ყველაზე საინტერესოა, ზოგიერთ ადამიანში ეს დანამატები, პრაქტიკულად შეუმჩნეველია, ხოლო დანარჩენებს საკმაოდ სერიოზული პრობლემებიც კი ექმნებათ ხოლმე.

ალბათ, თავადაც გაიფიქრებდით, რომ ყველაზე გამოუსადეგარი ორგანო, პირველ რიგში, ბრმა ნაწლავია და მართალიცაა.

თავდაპირველად, აღნიშნული ორგანო ცელულოზის რეზერვუარის ფუნქციას ასრულებდა და სისხლის წარმოქმნაშიც მონაწილეობდა ლეიკოციტების გამოყოფით, მაგრამ, როგორც კი ადამიანი უფრო რაფინირებული საკვების მიღებაზე გადავიდა, ბრმა ნაწლავმა ფუნქცია დაკარგა და უფრო ინფექციების წარმოშობის წყაროდ გადაიქცა, რის გამოც ლამის ყოველი მესამე იძულებულია, მის მოსაშორებლად ოპერაცია ჩაიტაროს.

თურმე, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როდესაც ადამიანი საერთოდ ბრმა ნაწლავის გარეშეც იბადება.

მეცნიერების განმარტებით, ადამიანის ორგანიზმი ყველაზე ხშირად განუვითარებელი კუნთებითაა სავსე, რომელთა ამუშავება დაუსრულებელი ვარჯიშების მიუხედავად, მაინც შეუძლებელია – ევოლუციამ მათ ფუნქცია დაუკარგა და ამიტომ.

ასე მაგალითად, უხსოვარ დროში კონკრეტული კუნთების მუშაობის შედეგად ადამიანი ყურების საკმაოდ მოხერხებულად მოძრაობას ახერხებდა, ოღონდ არა იმისთვის, რომ აბეზარი მწერები მოეგერიებინა, არამედ იმ მიზეზით, რომ საგანგაშო სიგნალები დაეჭირა და სახიფათო ადგილებს გასცლოდა. ყურების ამგვარად მოძრაობას სპეციალური ორგანო, ე.წ. „ლოკატორი“ და შიდა კუნთები ასრულებდა, რომლებიც ზოგიერთ ადამიანში დღემდე შემორჩენილია – ალბათ, ზოგიერთი თქვენი ნაცნობიც ახერხებს ყურების მოძრაობას, რაც მხიარულებასაც კი იწვევს, მაგრამ ძველ დროში ასეთი უნარის არმქონე ინდივიდს სასაცილოდ ჰქონდა საქმე კი არა, ფაქტობრივად, განწირული იყო.

და კიდევ ერთი – მეცნიერები განმარტავენ, რომ, ასევე, ყოვლად უსარგებლოა ულვაშები და წვერები, ასევე თმები, რომლებიც მამაკაცებს მკერდსა და ზურგზე ეზრდებათ.

პრინციპში, რთულია, ამაში არ დავეთანხმოთ სწავლულებს, რადგან, ხომ გაგიგიათ, თმას რომ ტვინი ჰქონდესო...

**tainamira.ru**

## ოთხი ცოლი ერთდროულად — ოი, როგორი სახიფათოა?!



85 წლის პენსიონერს შეეშლება და შემთხვევით სექსოლოგის კაბინეტში შევა:

– პირველზე პრობლემა საერთოდ არ მაქვს, ექიმო. მეორესაც ვერევი, მესამეს არა უშავს, მეოთხე ცოტა მიჭირს, მეხუთე უკვე ძალიან რთულია და მეექვსეზე უკვე ძალები მეცლება და ველარ ვინძრევი.

– შენც გაჩერდი ბაბუ, მეექვსეზეო, – გაკვირვებული ეტყვის ექიმი.

– მეექვსეზე როგორ გავჩერდე, შვილო, მერვეზე ვცხოვრობო...

მოკლედ, საუდის არაბეთში მცხოვრები ახალგაზრდა კაცისთვის, რომლის ვინაობაც არ კონკრეტდება, საკუთარ მშობლებს ნახევარი წლის მანძილზე ოთხი ცოლი შეურთავთ და დაახლოებით შვიდ თვეში მისი სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია გამხდარა აუცილებელი.

თურმე, ასეთი აქტიური სექსუალური ცხოვრებისთვის ახალგაზრდა მამაკაცი მზად არ იყო და ვერც გაუძლო ცოლების ტემპერამენტს – მას სერიოზული რეაბილიტაციის კურსი დასჭირდა, რათა ძალები აღედგინა, მაგრამ ახლა უკვე ქალებისკენ, განსაკუთრებით კი – საკუთარი ცოლებისკენ, გახედვაც აღარ უნდა.

ექიმების თქმით, კიდევ ცოტა ხანი და შესაძლოა, ახალგაზრდა მამაკაცისთვის სიცოცხლის შენარჩუნება ველარ მოეხერხებინათ...

**etotupo.ru**

## ზვიგენების კანს რადარის თვისებები ჰქონია



როგორც ცნობილია, ოკეანეების საშინელ ბინადრებს – ზვიგენებს შეგრძნებები უმაღლეს დონეზე აქვთ განვითარებული. ახალი კვლევების თანახმად კი გაირკვა, რომ ამ არსებებს მსხვერპლის მოძიებაში ეხმარება არა მხოლოდ ცხვირი, არამედ, პირველ რიგში, კანი, განსაკუთრებით კი ე.წ. „გვერდითა ზოლი“.

როგორც ირკვევა, ზვიგენებზე ახალი დაკვირვება ბოსტონის უნივერსიტეტის ბიოლოგებმა ჩაატარეს და აღმოაჩინეს, რომ ზვიგენის „გვერდითა ზოლი“ მგრძნობიარეა არა მხოლოდ ვიბრაციების მიმართ, როგორც ეს ამ დრომდე ითვლებოდა, არამედ მისი წყალობით წყალქვეშა მტაცებლები სუნსაც კი შეიგრძნობენ.

ექსპერიმენტებისთვის მეცნიერებმა ზღვის ძაღლი გამოიყენეს (ზვიგენის ნაირსახეობა) და დაადგინეს, რომ „გვერდითა ზოლის“ გარეშე წყლის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ მტაცებელს მსხვერპლის აღმოჩენა, ფაქტობრივად, არ შეუძლია.

– „გვერდითა ზოლებს“ ზვიგენი, როგორც რადარს, ისე იყენებს და მსხვერპლის ადგილსამყოფლის აღმოჩენა მას სრულ წყვდიადშიც კი უპრობლემოდ შეუძლია, – ამბობს დოქტორი ატემი და განმარტავს, რომ როდესაც ზვიგენს „რადარი“ ანტიბიოტიკებით დაუბლოკეს, ის გადაადგილებასაც კი ძლივს ახერხებდა.

**tob.rbc.ru**

## გინესის წიგნის სექსუალური რეკორდები



ჰაუსტონი

– მამაკაცის მიერ ჩატარებული ყველაზე მეტი სექსუალური აქტი: ამერიკელმა პორნომსახიობმა ჯონ დომ ერთ დღეში 55 ქალი დააკმაყოფილა.

– ქალის მიერ ჩატარებული ყველაზე მეტი სექსუალური აქტი: 1999 წელს კვლავაც ამერიკელმა პორნოვარსკვლავმა ჰაუსტონმა მთელი ცივილიზებული მსოფლიო შეძრა: 10 საათში იგი 620 მამაკაცთან იწვა.

– საათის მანძილზე ყველაზე მეტი ორგაზმი: ამერიკელი ექიმების უილიამ ჰარტმანისა და მერილინ ფიტიანის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები ასეთი იყო: ერთმა ქალმა საათის მანძილზე 163 ორგაზმი განიცადა, ერთმა მამაკაცმა კი მხოლოდ – 16. ექსპერიმენტში, რომელიც დაახლოებით 10 ათასი საათი გრძელდებოდა, 751 მოხალისე მონაწილეობდა.

– ყველაზე ხანგრძლივი ორგაზმი: ქალის ორგაზმის ხანგრძლივობის მაქსიმუმ 43 წამია, ხოლო მამაკაცების მხოლოდ – 8. ამასთანავე, არსებობს მოსაზრება, რომ კონკრეტული ვარჯიშების დახმარებით – იოგა, აუტოტრენინგი და ასე შემდეგ, მამაკაცს ორგაზმის გახანგრძლივება შეუძლია... 10 წამამდე.

– ყველაზე მსხვილი სექსორგია: ისტორიულ წყაროებს შემონახული ჰქონია ცნობები, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 200 წელს რომში გამართულ ერთ-ერთ ორგიაში 7 ათასამდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

– ყველაზე ხანგრძლივი კოცნა: დარეგისტრირებულია 2011 წლის თებერვალში ტაილანდის კურორტ პატაიზე. ცოლ-ქმარმა ეკაჩაი და ლაქსანა ტირანარატების კოცნა 46 საათი 24 წუთი და 9 წამი გრძელდებოდა. მთელი ამ ხნის მანძილზე წყვილი სვამდა წვენს საწრუპელათი ისე, რომ ტუჩები ერთმანეთისთვის არ დაუშორებიათ. ტუალეტშიც კი თურმე ჩაფსკვნილები გადიოდნენ.



– ყველაზე მეტი ქალიშვილის მმუსვრელი: 1777 წელს კაპიტანი კუკი, რომელიც წყნარ ოკეანეში მოგზაურობდა, ტონგას სამეფოს ესტუმრა, სადაც მეფე ფატაფეხ პაულახს შეხვდა. თურმე, მხოლოდ ამ მეფეს ჰქონდა უფლება, ადგილობრივ ქალებთან პირველი დაწოლილიყო. 80 წლის მონარქი კუკს გამოუტყდა, რომ ყოველდღიურად ქალიშვილობას 8-10 ქალს აკარგვინებდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეფეს დაახლოებით 37 ათასი აბორიგენი ჰყავდა „დაქალებული“.

– ყველაზე მეტი რაოდენობის საყვარელი: საუდის არაბეთის დამაარსებელმა და პირველმა მონარქმა მეფე იბნ საუდმა (1880-1953) პირველად სექსის გემო 11 წლის ასაკში გაიგო. აქედან მოყოლებული ყოველდღიურად ის დაახლოებით 3 ქალს იცვლიდა, ანუ მთელ სიცოცხლეში მას 20 ათასამდე ქალი ჰყავს მკლავზე გადაწვენილი.

– მამაკაცი, რომელმაც ყველაზე ბევრი შთამომავალი დატოვა: მაროკოს მმართველს მულაი ისმაილს (1646-1727) 1703 წელს 342 ქალიშვილი და 525 ვაჟი ჰყავდა. იმასაც ამბობენ, რომ 1721 წლისთვის მისი ვაჟების რაოდენობა 700-ს აღემატებოდა. შვილიშვილებსა და შვილთაშვილებზე ინფორმაცია აღარ ზუსტდება.

– ქალი, რომელმაც ყველაზე მეტი შთამომავალი დატოვა: გინესის რეკორდების წიგნში ამ მხრივ მოხსენიებულია რუსი გლეხი ქალი ფედორა ვასილიევა (1707-1782), რომელსაც 69 შვილი გაუჩენია. 16-ჯერ მან 2-2 შვილი გააჩინა, 7-ჯერ – 3-3 და 4-ჯერ – 4-4.

– 1965 წელს ერთ შვედ ქალს დღის მანძილზე მკერდიდან 1,6 ლიტრი რძე მოსდიოდა. რეკორდი დღემდე არ გაუმჯობესებულა.

– პენისების ყველაზე გრანდიოზული კოლექცია: ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-13 ასწლეულში, მას შემდეგ, რაც ეგვიპტელებმა ლივია გაანადგურეს, ნადავლის სახით ხელს დამარცხებული მტრისთვის მოჭრილი 13 ათას 230 პენისი გაყოლეს.

– ყველაზე დიდი საჯდომი: ამ მხრივ ლიდერობენ აფრიკული ტომის ჰოტენტოტების ქალები. თითქმის ყველას საჯდომის დიამეტრი 1 მეტრს აღემატება.

**liveinternet.ru**

## სიგარეტს ფორთოხალი გადაგაგდებინებთო



ამერიკელ სწავლულებს თუ ვერწმუნებით, მწეველების ორგანიზმში მუდმივად მიმდინარეობს ცე ვიტამინის შლისა და მისი ნიკოტინით ჩანაცვლების პროცესი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუკი სიგარეტს გადააგდებთ, მისი ჩანაცვლების საუკეთესო საშუალება რა იქნება? მართალი ხართ, სწორედაც რომ ცე ვიტამინი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამერიკელმა მეცნიერებმა სიგარეტის გადაგდების ძალიან მარტივი პროგრამა შექმნეს:

პირველ რიგში, ის ითვალისწინებს იმ პროდუქტების აქტიურ მიღებას, რომლებიც ასკორბინის მჟავას შეიცავს – მაგალითად, ფორთოხლისა და ლიმონის წვენები, მოცხარი და ასე შემდეგ.

აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ ამ მეთოდით სიგარეტის გადაგდებაზე უარი უნდა თქვან იმ ადამიანებმა, რომლებსაც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემები აწუხებთ.

**myjane.ru**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# სკანვორდი



1. აქლემების მწკრივი უდაბნოში
2. სპორტ. შეჯიბრების დასაწყისი
3. ბიბლიური ბრძენი მეფე
4. მსახიობი ... ფარელი
5. ბოსტნეული
6. მსახიობი ... ლი ჯონსი
7. მეცნიერება ვარსკვლავებზე
8. იაპონელი განგსტერი
9. მსახიობი სემ ...
10. მხ/ფ „... ღამეები“
11. მსახიობი ... ბროსნანი
12. საავადმყოფოს ოთახი
13. სამკურნალო მცენარე
14. ეშმაკი, ანუ ...
15. მდინარე ქუთაისში
16. ალპური ყვავილი
17. მამაკაცის სამოსი
18. კონტინენტი
19. ორკესტრის ხელმძღვანელი
20. მსახიობი ... კიდმანი
21. უმაღლესი სასწავლო საწესებულება
22. შექსპირის ტრაგედია
23. კურორტი ზუგდიდის რაიონში
24. ავტორბოლა
25. ... გათეთრდების ყორანი
26. ყაიმი
27. ჩვილის საწოლი
28. მხ/ფ „დიდოსტატის მარჯვენა“ ლეილა აბაშიძის როლი
29. დუმბაძე. „მე, ბებია, ილიკო და ...“
30. ქალაქი პოლონეთში
31. კუბის დედაქალაქი
32. მხ/ფ „ადამიანი ...“
33. მსახიობი ... ფაინსი
34. მწერლები ... და პეტროვი
35. კომბოსტოს სანეობა
36. მსახიობი ... ელექტრა
37. ჩეხეთის დედაქალაქი
38. პოეტი ვლადიმერ ...
39. მარცვლოვანი მცენარე
40. მსახიობი ... როსელინი
41. „... ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“
42. შეძახილი ღვთისმსახურებისას
43. საწერი მასალა ძველ ეგვიპტეში
44. პოეტი ... ევდოშვილი
45. საკულტო ნაგებობა ბაბილონში
46. სურნელოვანი ფისი
47. ზუმერი კარებზე
48. მსახიობი ედიშერ ...
49. მსახიობი ... ტეილორი
50. ასტრონომიული მანძილის ერთეული
51. რუსი ილუზიონისტი
52. ქალაქი რუსეთში
53. აუქციონზე გატანილი ნივთი
54. დუმბაძე. „თეთრი ...“
55. გაზაფხულის თვე
56. ქალაქი იაპონიაში
57. „დათა თუთაშხია“ თაყაიშვილი
58. სანოტო სისტემის ფიგურული ფრჩხილი
59. რეპტილია
60. მხატვარი ანრი ...
61. ებრაული სალოცავი ტაძარი
62. მსახიობი გრეტა ...
63. გულის მთავარი სისხლძარღვი
64. სამშენებლო მასალა
65. „მატრიცა“ ჰაკერი
66. მფრინავი
67. ბრაზილიელი ფეხბურთელი
68. მომღერალი ... მარლი
69. მსახიობი ... რივზი
70. ბალერინა ნინო ...
71. ოთხკუთხედში გავლებული ხაზი
72. ქორბუდა ცხოველი
73. პოეტი ... აბაშიძე
74. კრიმინალისტიკაში თითის ანაბეჭდებით კვლევის მეთოდი
75. ტარზანის როლში ჯონი ...
76. მსახიობი პიერ ...
77. „ტრისტან და ...“
78. დასაძინებელი ნაყენი
79. სასულე კლავიშებ. ინსტრუმენტი
80. დიდი საჭადრაკო შეხაერთი
81. სტადიონი რიოში
82. მწერალი ... ტოლსტოი
83. წყლის სადგავი
84. ტროპიკული ხილი
85. პოლიტიკოსი ... განდი
86. სოფელი რაჭაში
87. ჯგუფის მოხიბავე ადამიანი
88. უქორწო თუთიყუში
89. მხატვარი ალბრეხტ ...
90. მუსლიმანური მარხვა
91. მზარეული გემზე
92. აივენჰოს სატრფო
93. ინის საპირისპირო
94. სამკერდე ჯირკვლების ანთება
95. კაოლინისგან დამზადებული კერამიკა
96. სალმა ჰაიეკი ფილმში
97. გარეული ფრინველი
98. ცივი იარაღი
99. ქალის პირბადე
100. ფრინველი სამხ. პოლუსზე
101. მსახიობი მარინა ...
102. რეჟისორი რობერტო ...
103. მსახ. ... მაკგრეგორი
104. მსახიობი ... ჰარისი
105. უკრაინული ავტომობილი
106. კინოს გადასაღები აპარატი ძველად
107. მოგზაური ...-მაკლაი
108. ამფიბია
109. „ჩემი ცოლის დაქალები“ პერსონაჟი
110. ძლიერი ქარი
111. რეჟისორი ... დამიანი
112. სლავური ანბანი
113. კბილის დამცავი ფენა
114. ლაჩარი
115. სოფელი საგარეჯოს რაიონში
116. ბილიარდის ჯოხი
117. ადამიანშებმული ეტლი
118. ... ხაჩატურიანი
119. ინდური კაბა
120. ... ფერსა, მადლი ღმერთსა
121. ... დაიჭირავს სიკვდილსა
122. ზამბახი
123. ქარის მოტანილს ... წაიღებსო
124. მოჭადრაკე ... კრამლინგი
125. ტყუილი, ანუ ... სიტყვები
126. მეცნიერი ... ვეკუა
127. კომპოზიტორი ჯორჯ ...
128. სოფლის ტრანსპორტი
129. „ღვინის ქურდები“ კავსაძე
130. ღია მიშენება შენობაზე
131. ყანწის მასალა
132. ქალაქი რაჭაში
133. სათავსო ფუნდამენტში
134. ნაჯახი
135. „მაუგლი“ პითონი
136. მახრჩობელა გველი
137. გაქრისტიანებული არაბი ყმაწვილი
138. მამათა დიდი მონასტერი
139. ნიავი

პასუხები: 1. ქარავანი; 2. სტარტი; 3. სოლომონი; 4. კოლინ; 5. ნიორი; 6. ტომი;7. ასტრონომია; 8. იაკუძა; 9. ნილი; 10. კაბირიას; 11. პირს; 12. პალატა; 13. ალოე; 14. ტარტაროზი; 15. რიონი; 16. ედელვაისი; 17. ჟილეტი; 18. აზია; 19. დირიჟორი; 20. ნიკოლ; 21. უნივერსიტეტი; 22. 'ჰამლეტი"; 23. ანაკლია; 24. რალი; 25. არ; 26. ფრე; 27. აკვანი; 28. ვარდისახარი; 29. ილარიონი; 30. ლოძი; 31. ჰავანა; 32. ორკესტრი; 33. რალფ; 34. ილფი; 35. კოლრაბი; 36. კარმენ; 37. პრაღა; 38. მაიაკოვსკი; 39. ბრინჯი; 40. იზაბელა; 41. სოლომონ; 42. ოსანა; 43. პაპირუსი; 44. იროდიონ; 45. ზიკურათი; 46. საკმეველი; 47. ზარი; 48. მაღალაშვილი; 49. ელიზაბეტ; 50. პარსეკი; 51. კიო; 52. რიაზანი; 53. ლოტი; 54. ბაირაღები; 55. აპრილი; 56. კიოტო; 57. ასინეთა; 58. აკოლადა; 59. კუ; 60. მატისი; 61. სინაგოგა; 62. გარბო; 63. აორტა; 64. თაბაშირი; 65. ნეო; 66. პილოტი; 67. კაკა; 68. ბობ; 69. კიანუ; 70. ანანიაშვილი; 71. დიაგონალი; 72. ირემი; 73. ირაკლი; 74. დაქტილოსკოპია; 75. ვაისმიულერი; 76. რიშარი; 77. იზოლდა; 78. ბანგი; 79. ორგანი; 80. არმია; 81. მარაკანა; 82. ლევ; 83. აკვარელი; 84. მანგო; 85. ინდირა; 86. ირი; 87. ლიდერი; 88. არა; 89. დიურერი; 90. რამაზანი; 91. კოკი; 92. როენა; 93. იანი; 94. მასტიტი; 95. ფაიფური; 96. 'ფრიდა"; 97. შოშია; 98. ლეკური; 99. მანდილი; 100. პინგვინი; 101. ვლადი; 102. ბენინი; 103. ევან; 104. ედ; 105. 'ტავრია"; 106. სინემატოგრაფი; 107. მიკლუხო; 108. ტრიტონი; 109. ნელიკო; 110. გრიგალი; 111. დამიანო; 112. კირილიცა; 113. ემალი; 114. მშიშარა; 115. მანავი; 116. კიი; 117. რიქშა; 118. არამ; 119. სარი; 120. ფერი; 121. ვერ; 122. ირისი; 123. ქარივე; 124. პია; 125. ლიტონი; 126. ილია; 127. გერშვინი; 128. ურემი; 129. ელიბო; 130. აივანი; 131. რქა; 132. ონი; 133. სარდაფი; 134. ცული; 135. კაა; 136. პითონი; 137. აბო; 138. ლავრა; 139. სიო. იკითხება: ვიტამინები.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

# ბესო უბილავას ტკივილიანი გახსენება



ისევ გწერ...

ისევ გეხმიანები ამქვეყნიური ცხოვრებიდან მარადიულ სივრცეებში გადასახლებულს. ისევ ვუძლებ გაუსაძლის ტკივილს, რასაც უშენობა ჰქვია, რაც წუთისოფელმა გაგვიმწესა მე და შენ. ხუთი წელია მახრჩობს შენი მონატრება, ჩამესმის შენი ხმა, გეძებ, გელოდები...

თითქოს დედამიწაც შეძრა ჩემი ტკივილის ექომ. შენამდეც მოაღწია ჩემო სულზე უტკბილესო შვილო, ჩემო ძლიერებავ და იმედო! რა ჰქვია ამ წლებს, უშენოდ რომ ვიცოცხლე. არა, ამას სიცოცხლე არ ჰქვია, არც არსებობა... ბევრჯერ მინატრია, სუნთქვა წამერთვას, მიიბაროს ჩემი სული უფალმა და შენამდე სავალი გზები დამოკლდეს. მაგრამ არა, აქედან უნდა ვილოცო შენთვის. უნდა დაგინთო სანთლები, უნდა აღვასრულო უფლის ნება და უნდა ვიზრუნო შენს უმანკო სულზე.

მეხუთე გაზაფხულმა ჩაიარა. მეხუთეჯერ იცვალა ბუნებამ სამოსელი. ჩემი ფერები არ იცვლება შენს მერე, ბესო. მოკვდა, დაბერდა ჩემი გაზაფხული უშენობით. ჩემი ფერები გახუნდა, მხოლოდ ბნელი დგას ახლოს. არა სინათლე! შენ არ ხარ ასეთ დედას შეჩვეული. შენ ხომ მუდამ სადღესასწაულოდ, საზეიმოდ მრთავდი. მუდამ მანებივრებდი, მეფერებოდი, სიბერეს არ უთმობდი ჩემს თავს. მუდამ ახალგაზრდა და მზესავით ელვარე გინდოდა გყოლოდი.

უშენობით დავბნელდი, ბესო! უშენობით დავბერდი და სხვა სიცოცხლეზე ვფიქრობ. სიცოცხლეზე, სადაც დედაშვილობა საწყის, პირვანდელ ერთარსებობას დაუბრუნდება. სადაც ვერაფერი გაგვთიშავს, დაგვაშორებს ერთმანეთს. სადაც მარადიული ერთად ყოფნაა.

უმძიმესია ეს თვე ჩემთვის.

შენ იუბილარი ხარ!

50 წელი გისრულდება. უშენოდ გავმართავ წვეულებას. ყველაფერი წესისამებრ წარიმართება. მოგიგონებენ, გაგიხსენებენ, სანთლებს დაგინთებენ, აიწევა შენი შესანდობარი... ჩაივლის ეს დღეც. ისევ დაიწყება ტკივილი დაუსრულებელი, ისევ ჩავიძირები უშენო მარტოობის მორევში. ისევ დამათენდება თავზე დარდისგან მილეულს.

ახლა გწერ წერილს იმ მარადიულ სამყოფელში, სადაც შენი სული, წმინდა და უმანკო დავანებულა. სადაც ტკივილის ექოდ აღწევს ჩემი ხმა:

იუბილეს გილოცავ, შვილო!

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## პროდუქტები, რომლებიც კბილებს ამუქებს



გაინტერესებთ, რომელი პროდუქტია კბილის ემალის დაუძინებელი მტერი? მაშინ, ნორვეგიელი სწავლულების მიერ მომზადებულ რეიტინგს გაეცანით და დაიცავით კბილების ბუნებრივი თეთრი ფერი გამუქებისგან.

მოცვი – ნაყოფი ბუნებრივი საღებავებითაა გაჯერებული. მოცვის შეჭმისთანავე საღებავები კბილზე წამიერად ეკვრება. დროთა განმავლობაში ნადები ქრება, მაგრამ კბილები შეიძლება გაყვითლდეს.

მწვანე და შავი ჩაი – ხშირად მიღებისას, მწვანე ჩაი კბილის ემალს ამსხვრევს, შავი კი კბილებს კალციუმს აშორებს.

გაზიანი სასმელები – გარდა იმისა, რომ კბილებს სითეთრეს უკარგავს, სასმელი მთელი ძვლოვანი ქსოვილების მტერიცაა.

ყავა – ძალიან დიდ უარყოფით გავლენას ახდენს კბილების სითეთრეზე. ამდენად, სპეციალისტების რჩევაა, ყავის დალევის შემდეგ კბილები აუცილებლად გაიხეხოთ.

შოკოლადი – მოქმედებს არა მხოლოდ სითეთრის წინააღმდეგ, არამედ გვჩუქნის კარიესსაც.

ხილი – განსაკუთრებით მავნეა კბილის ფერისთვის ის ხილი, რომელიც მდიდარია მჟავებითა და ნახშირწყლებით. მაგალითად, ლეღვი, ბანანი, ანანასი, ვაშლის ტკბილი ჯიშები, ყურძენი და ფინიკი.

*membrana.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**18 ივნისი:** მთლიანად საკუთარ აზრებსა და საქმეებში იქნებით ჩაძირული და ვერაფერი ვერ იმოქმედებს თქვენზე, თუკი რამე ორდინარული არ მოხდა.

**კურო 22.04-21.05**

**18 ივნისი:** დღეს საჭირო კავშირები ძალიან მნიშვნელოვანი იქნება თქვენთვის. თუ ასეთი ნაცნობები გყავთ, ჩათვალეთ, დღე წარმატებული იქნება.

**ტყუპები 22.05-21.06**

**18 ივნისი:** იმდენად გადაიტვირთეთ სხვადასხვა რესურსებით, საშიში ხდებით. დღე ნაყოფიერი იქნება, თუკი ამ რესურსებმა წყობილებიდან არ გამოგიყვანათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**18 ივნისი:** წვრილმანების მიმართ მეტი ყურადღება გმართებთ. ეს წინსვლას შესამჩნევად შეანელებს, სამაგიეროდ, მომავალში მნიშვნელოვან ნაყოფს გამოიღებს.

**ლომი 23.07-22.08**

**18 ივნისი:** თქვენი გაუაზრებელი მოქმედების ან შეცდომის გამო, მოხდება მოვლენა, რომელიც საკმაოდ სახალისო შედეგებს გამოიღებს. არ სცადოთ ამის თავიდან აცილება, სასიამოვნო თავგადასავალს მოიკლებთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**18 ივნისი:** იმის მიუხედავად, რომ არასამუშაო განწყობაზე იქნებით, ძვირფასი დრო ტყუილად არ დახარჯოთ, ეს თქვენს კარიერაზე უარყოფითად აისახება.

**სასწორი 23.09-22.10**

**18 ივნისი:** შესაძლოა, იმაზე მეტად ხართ სხვებზე დამოკიდებული, ვიდრე გგონიათ. ამ უსიამოვნო ფაქტის აღიარება და სათანადოდ მოქცევა მოგიწევთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**18 ივნისი:** შეეცადეთ, არ დაგავიწყდეთ, რომ გუნდურ თამაშში მთავარი კარგად ორგანიზებული ურთიერთობებია. შეეცადეთ, კოლეგებთან ურთიერთობა ამ სისტემითააწყოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**18 ივნისი:** სამსახურში ბოლომდე დახარჯვისკენ ხართ მიდრეკილი, თანაც, სულ ტყუილად. რა აზრი აქვს ასეთ თავგამოდებას, თუკი შრომით მიღებული შედეგით ტკბობა არ შეგიძლიათ. ცოტა დასვენებაზეც იფიქრეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**18 ივნისი:** შეიძლება დღეს თქვენთვის მნიშვნელოვანი საქმის გადადება და ვიღაცის ისეთი პრობლემის მოგვარება მოგიწიოთ, რომელსაც თქვენთან კავშირი არ აქვს.

**მერწყული 20.01-18.02**

**18 ივნისი:** შანსი გაქვთ, თქვენი გუშინდელი მოქიშპეები, მინიმუმ, მოკავშირეებად აქციოთ, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ეს ადვილი იქნება. რომც არ გამოგივიდეთ, არაფერს დაკარგავთ.

**თევზები 19.02-20.03**

**18 ივნისი:** თუ საკუთარ თავზე აღებული საქმის კეთებას ვერ უმკლავდებით, ზრდილობიანად მოიბოდიშეთ და შეეშვით. ძალიან ნუ გამოიდებთ თავს მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცის იმედები გაამართლოთ.

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს

ანაზღაურება 640 ლარიდან

გამოცდილ ჟურნალისტს საინფორმაციო სააგენტოებზე მუშაობის პრაქტიკით – საინფორმაციო სამსახურის რედაქტორად.

ანაზღაურება 800 ლარიდან

ტელ: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან

## ცოლისგან რომ ფული დაემალა... ხურდების ყლაპვა დაიწყო



ხურდა, ალბათ, იმიტომ, რომ მუცელში ქაღალდი, უბრალოდ, გაფუჭდებოდა და სავარაუდოდ, გაქრებოდა ან რაღაც მსგავსი...

ქალაქ რაუაოს საავადმყოფოში, რომელიც ბანგკოკის ჩრდილოეთით მდებარეობს, ერთი მართლაც უჩვეულო პაციენტი მისულა, რომელიც მუცლის მწვავე ტკივილებს უჩიოდა.

მაშინვე გადაწყდა, რომ მისთვის ოპერაცია ჩაეტარებინათ და საოცრებებიც სწორედ აქ დაიწყო – ექიმები გაკვირვებასა და განცვიფრებას ვერაფრით მალავდნენ, რადგან პაციენტის კუჭში მათ მონეტები აღმოაჩინეს, საერთო წონით... 2 კილოგრამი.

პაციენტმა სულ მალე აღიარა, რომ ხურდებს წლების განმავლობაში ყლაპავდა, რათა ზედმეტად ხელგაშლილი ცოლისგან მცირეოდენი თანხების გადარჩენა მაინც მოეხერხებინა.

საბედნიეროდ, ასეთი სულელური გადაწყვეტილება ბანგკოკელ მამაკაცს სიცოცხლის ფასად არ დაუჯდა, თუმცა ოპერაციის სანაცვლოდ, საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა კი მოუხდა.

ღმერთმა გაშოროთ ისეთი მეუღლე, აი, ასეთ ნაბიჯს რომ გადაგადგმევინებთ!..

*etotupo.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ზის სამი მონადირე და ტრაბახობს, ვის უფრო მაგარი ძაღლი ჰყავს.

პირველი:

– საოცარი ძაღლი მყავს! წარმოიდგინეთ, წავედი დათვზე სანადიროდ, კვალიც მალევე ვიპოვე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ტყვიები დამრჩენია. ვაყნოსინე თოფზე, გავარდა და ნახევარ საათში ყველაფერი მომიტანა...

მეორე:

– რა სისულელეა! აი, ჩემი ძაღლია მართლა განძი! მოკლედ, ჩასაფრებულები ვართ ძმაკაცები, მაგრამ ვერაფერი. ჰოდა, დალევა მოგვინდა და თურმე, ჭიქები სახლში არ დაგვრჩენია?! სუნი ბოთლიდან ავაღებინეთ ჩემს ძაღლს, ისიც გავარდა და ლუკმა არ გვქონდა ჯერ ჩადებული, ჭიქებით და განსხვავებულებით დაბრუნდა...

მესამე:

– გისმენთ და მეცინება! ახლა ჩემი ძაღლის ამბავს უსმინეთ: წავედით მე და ჩემი ცოლი პლაჟზე და იქლა გაახსენდა, რომ „კუპალნიკები“ დავიწყებია. ვაყნოსინე ძაღლს მის ფეხებშორის, გავარდა და 10 წუთში მეზობლის პენისი მოარბენინა!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია »211359457 ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭავაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური ☎ 2-333-170 577-444-442 მიხეილ სახვაძე 221 21 80 (შიდა ნომერი 108) E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალმასიანის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.14